

ქვეყნის ხმა



საქართველოს მხარეთმცოდნეო ინსტიტუტის გაზეთი №6 (274) 1-31 ივლისი 2019 წელი ფასი 1 ლარი

გამომცემი თბილისი

საქართველოს მხარეთმცოდნეო ინსტიტუტის XXV ყრილობა

ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა აკაკი ბრეგვაძემ.

ყრილობის თავმჯდომარეობა ალტერნატიული არჩევის შედეგად დაევალა მურმან თავაძეშვილს.

საანგარიშო მოხსენებები წაიკითხეს: რევაზ მიშველაძემ, მაყვალა გონაშვილმა, ბალათერ არაბული, სოსო სიგუამ, თემურ ჩალაბაშვილმა.

გამოვიდნენ: დავით თედორაძე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, დათო ახლოური, დავით ტიგინაშვილი, რეზო ადამია, ლაშა გვასალია, მარინე ცხვედიაშვილი, თემურ ცერცვაძე, ვაჟა ჩორდელი, მზია ხეთაგური, შარლოტა კვანტალიანი, ჯემალ დობორჯგინიძე, ზაურ ნაჭყებია...

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ნუნუ დალაქიშვილის გამოსვლის შემდეგ ყრილობამ საქართველოს მხარეთმცოდნეო ინსტიტუტის მუშაობა დადებითად შეაფასა.

მხარეთმცოდნეო ინსტიტუტის განახლებული წესდების შესახებ ყრილობას მოხსენებით წარუდგა სოსო სიგუა.

წესდების შესახებ სიტყვით გამოვიდნენ: ზაურ ნაჭყებია, მარინე ცხვედიაშვილი, ვაჟა ჩორდელი.

მწერლებმა ახალი წესდება ღია კენჭისყრით დაამტკიცეს.

ყრილობამ აირჩია მხარეთმცოდნეო ინსტიტუტის გამგეობა:

- მაყვალა გონაშვილი
- რევაზ მიშველაძე
- ბალათერ არაბული
- სოსო სიგუა
- თემურ ჩალაბაშვილი
- აკაკი ბრეგვაძე
- დავით თედორაძე
- თემურ ჩალაბაშვილი
- ლაშა გვასალია
- ზაურ ნაჭყებია
- ავთანდილ ნიკოლეიშვილი
- დაათო ახლოური
- მარინე ცხვედიაშვილი
- ფარნა რაინაული
- თამაზ ხმადაძე
- მანონ ბულისკერია
- ავთო ბერიძე
- ნაირა მარშანია
- რეზო სტურუა
- ნიკოლოზ კურტანიძე
- ბადრი ქუთათელაძე
- დაათო ტიგინაშვილი
- მია ხოფერიანი
- ბელა ალანია
- ჯუბა ლეღეი
- ნინო უშილაური
- მანანა გორგიშვილი
- მთვარისა კერესელიძე
- შარლოტა კვანტალიანი
- ვახტანგ ლლონტი

თამარ შაიშველაშვილი

ქეთევან შენგელია

გულნაზ ხარაიშვილი

მზია ხეთაგური

ოთო ფალიანი

წესდების თანახმად მხარეთმცოდნეო ინსტიტუტის სამდივნო განსაზღვრულია 5 წევრის რაოდენობით. სამდივნოს წევრობაზე კენჭს იყრიდნენ:

- მაყვალა გონაშვილი
- რევაზ მიშველაძე
- ბალათერ არაბული
- სოსო სიგუა
- თემურ ჩალაბაშვილი
- ბადრი ქუთათელაძე
- რეზო ადამია
- თემურ ცერცვაძე
- შარლოტა კვანტალიანი
- დაათო ყარაყულაშვილი
- ფარნა რაინაული
- ვაჟა ჩორდელი

ყრილობამ ფარული კენჭისყრით აირჩია სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

- მაყვალა გონაშვილი
- რევაზ მიშველაძე
- ბალათერ არაბული
- სოსო სიგუა
- თემურ ჩალაბაშვილი

სამდივნოს გადაწყვეტილებით მისი თითოეული წევრი უხელმძღვანელებს დარგო-

ბრივ კომისიებს და ამ კომისიების შესაბამისად მხარეთმცოდნეო ინსტიტუტის თავმჯდომარედ იწოდება.

სამდივნოს ფუნქციები ასე განაწილდა: მაყვალა გონაშვილი - საორგანიზაციო და საფინანსო კომისიების თავმჯდომარე;

რევაზ მიშველაძე - მხარეთმცოდნეო ინსტიტუტის წევრად მიმღები და ლიტერატურული პრემიების მიმნიჭებელი კომისიის თავმჯდომარე;

ბალათერ არაბული - საგამომცემლო საქმიანობის და უცხოეთთან ურთიერთობის კომისიების თავმჯდომარე;

სოსო სიგუა - კლასიკური მემკვიდრეობის და ლიტერატურული ორგანიზაციების კომისიების თავმჯდომარე;

თემურ ჩალაბაშვილი - ახალგაზრდა მწერლებთან და რევიზორებთან მუშაობის კომისიების თავმჯდომარე.

ყრილობამ აირჩია სარევიზიო კომისია: გიორგი ბეჭიტაშვილი, ნოდარ კობერიძე, ნუნუ დალაქიშვილი, ბელა ქებურია, ირმა მეტურიაშვილი, იაშა თანდილავა, თამაზ ჩადუნელი. ყრილობამ მიიღო რეზოლუცია. ამით საქართველოს მხარეთმცოდნეო ინსტიტუტის XXV ყრილობამ მუშაობა დაამთავრა.

საქართველოს მხარეთმცოდნეო ინსტიტუტის XXV ყრილობის რეზოლუცია

ბოლო წლებში საქართველოში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო, ყოფილი ხელისუფლების უგუნურობით დაკარგული საქართველოს ტერიტორიები, მოუგვარებელი კონფლიქტები და, საგანგაშო დემოგრაფიული მდგომარეობა, ნარკომანია და უცხოეთში ლუკმა-პურისთვის გადახვეწილი თანამოქმედების ბედი, „ნაციონალების“ ხელით დანგრეული ეკლესიები და დღესაც სახელმწიფოებრივი რელიგიის, მართლმადიდებლური სარწმუნოების წინააღმდეგ მიმართული მათი დაუფარავი იდეოლოგიური ბრძოლა, ათასი ჯურის სექტანტური ჯგუფების მომრავლება, რომლებიც ჩვენი საზოგადოების ცნობიერების დაშლისა და დანაწევრებისკენაა მიმართული, განათლებისა და კულტურის ხელშეწყობის გარეგანი და საზოგადოებრივი სამინისტროები, უმუშევრობა და საზოგადოებაში გაბატონებული უიმედობა, ხშირად „ქართული ოცნების“ უნიათობა და პასიურობა, რაც ბოლო დღეებში რუსთაველზე მიმდინარე, საქართველოსთვის ძალიან საშიშ, ნაციონალების დადგმულ აქციებზე უფრო გამჭვავდა, ქართველ მწერლებს გვაძლევს უფლებას, ვთქვათ, რომ ჩვენი დუმილი და უმოქმედობა სამშობლოს ღალატის ტოლფასად აღიქმება! დღეს, უპირველესად, მწერლობას არა აქვს გაჩუმების უფლება! ჩვენ სახელმწიფოებრივი აზროვნების მაგალითი უნდა ვუჩვენოთ ხალხს!

დასაბამიდან ჩვენი ერის ცხოვრებაში ქართულ სიტყვას და მწერალს ყოველთვის დიდი მისია გააჩნდა, რადგანაც მწერლობა იყო ეროვნული ცნობიერების, ეროვნული ღირებულებების დამცველი და მატარებელი; რომ არა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ჩვენი ხალხის ჭეშმარიტი ზნეობრივი სამოქალაქო კონსტიტუციაა და მასზე იბრუნებოდნენ თაობები; რომ არა ილია ჭავჭავაძე, რომელიც სიცოცხლის ბოლო წუთამდე ხმალომღებელი იბრძოდა ერის

გამოსავალივით და გადასარჩენად, რომელმაც დაუფარავად, პირდაპირ განაცხადა: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, ზეციერი მინიერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“, მათ გარეშე საქართველო შეიძლება, აღარც ყოფილიყო!

მე-20 საუკუნეში მრავალჯერ ეცადნენ ქართველი მწერლის „მოთვინიერებას“, მისი სახელის დაკნინებას, რათა მდგრადი პოლიტიკანებს საკუთარი პოლიტიკური ამბიციებისათვის თავისუფალი და უკონტროლო ასპარეზი ჰქონოდათ და ეს ნაწილობრივ შეძლეს კიდევ!

დღესაც, 21-ე საუკუნეშიც, ხშირად, იგივე გრძელდება: „საქართველოს არაეროვნული, „თავისუფლების ინსტიტუტსა“ და „სოროსში“ გამოზრდილი „ნაც-ელიტა“ 9 წლის განმავლობაში ყველაფერს აკეთებდა მწერლობის „ჩასარეცხად“. მათი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან, კომუნისტებსაც რომ არ უკადრიათ, 500 მწერალი უკანონოდ გამოაძევეს მხარეთმცოდნეო ინსტიტუტის საკუთარი სახლიდან. „ნაცებმა“ დახურეს დიდი სამწერლო ისტორიის გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ და წაართვეს საკუთარი შენობა, ასევე, გააუქმეს ჟურნალები — „ცისკარი“, „მნათობი“, „საუნჯე“, ახალგაზრდული ჟურნალი „ნობათი“, ნორჩი თაობის საყვარელი ჟურნალი „დილა“ და ა.შ. ამ გაჭირვებამ და ცხოვრებისეულმა კატაკლიზმებმა, ერის ბედზე დარდმა იმსხვერპლა არაერთი ნიჭიერი მწერალი. არაერთი მათგანი კი დღესაც შიმშილით სიკვდილისთვისაა განწირული! ისინი, ფაქტობრივად, უხელფასოდ და უპირობოდ დარჩნენ.

სამწუხაროდ, ქართველთმძულე სააკაშვილის მიერ ჩვენთვის ჩამორთმეული მხარეთმცოდნეო ინსტიტუტის შენობა, რომელიც თითქმის ერთი საუკუნე ქართველ მწერლებს ეკუთვნოდა, დიდი ძალისხმევით მიუხედავად ვერ დავიბრუნეთ;

მიუხედავად იმისა, რომ ბიძინა ივანიშვილიც შეპირებული იყო შენობის დაბრუნებას, ყოფილ-

მა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა ჩვენი არაერთგზის თხოვნისა, გადაწყვეტილება ვერ მიიღო და ისევ კულტურის სამინისტროში გადაგვამისამართა; ფაქტობრივად, ნაწილობრივ გაუქმებული კულტურის სამინისტრო კი დღეს ვერაფერს წყვეტს!

ჩვენ ერთად, სამომავლოდ, შენობის დასაბრუნებლად როგორც ჩანს აქციების ჩატარებაც მოგვიწევს!

მიუხედავად ჩვენი არაერთი მიმართვისა, საქართველოს ხელისუფლებამ 2017 წელს ვერ მოახერხა შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილის აღნიშვნა; მაშინ, როდესაც რუსთაველი და „ვეფხისტყაოსნით“ მთელ მსოფლიოში შეგვიძლია წარმოვიჩინოთ დიდი ისტორიის და დიდი კულტურის ერად.

შოთა რუსთაველის იუბილე მაღალ დონეზე აღინიშნა საეკტ-პეტერბურგში, სადაც ერთ-ერთ ქუჩას დაერქვა მისი სახელი და დაიდგა პოეტის ძეგლი, რომლის ინიციატორიც ჩვენი თანამემამულე, მამულიშვილი და პოეტი, ავთანდილ ბუთხაშვილია. იუბილე აღინიშნა ასევე ისრაელში და სხვა ქვეყნებში, რაც სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლების უნიათობაზე მიანიშნებს!

მიუხედავად იმისა, რომ 167 წლის ჟურნალ „ცისკარს“ საქართველოს კულტურის სამინისტრომ არამატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსი მიანიჭა, იმავე კულტურის სამინისტრომ ვერ გამოიხატა საკმარისი თანხა ამ ჟურნალის დასაფინანსებლად, და ფაქტობრივად განირა დასახურად! ასევე არ ფინანსდება გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, „მწერლის გაზეთი“, ჟურნალები „მნათობი“, „დილა“, „ნობათი“ და ა.შ.

სამაგალითოდ ჩვენი მეზობელ სახელმწიფოში, აზერბაიჯანში, ხელისუფლება აფინანსებს მხარეთმცოდნეო ინსტიტუტს, მხარეთმცოდნეო ინსტიტუტის სამდივნოს, მწერალთა კავშირს, მხარეთმცოდნეო ინსტიტუტის კულტურულ ჟურნალსა და ლიტერატურულ გაზეთს; ამავე დროს მწერლებს 60 წლამდე ძქლევით სტიპენდია 400\$ 60 წლის ზევით — 800\$.

აზერბაიჯანის მინისტრთა კაბინეტთან არსებობს და ფინანსდება მთარგმნელობითი ცენტრი, რომელიც მსოფლიოს აცნობს აზერბაიჯანულ ლიტერატურას და აზერბაიჯანულად თარგმნის სხვა ქვეყნების მწერლებს. მათ ჩვენი ჩარევით უკვე გაროსცეს ქართული პროზის ანთოლოგია, რამდენიმე ქართველი პოეტის ნიგნი და ამზადებენ ქართული პოეზიის ანთოლოგიასაც!..

სწორედ ეს არის სახელმწიფოებრივი ზრუნვა კულტურაზე და მწერლობაზე, რაც ჩვენ ძალიან გვაკლია!

წლების განმავლობაში შოუმენების, მედროვეების, ხელისუფლების „კარის მწერლების“, ეგრეთწოდებული „პოლიტოლოგების“, „არასამთავროების“, მდარე ხარისხის მასკულტურის წარმომადგენლების, ფსევდო მომღერლების, მუსიკოსების, მსახიობების აღზევების ხანა იყო და დღესაც ნაწილობრივ იგივე გრძელდება! ეს გამოჩნდა ფრანკფურტის ნიგნის ბაზრობაზეც, სადაც არაერთი უნიჭო მწერალი წაიყვანეს ნიჭიერების ნაცვლად! ყველა ასპარეზი, განსაკუთრებით ტელევიზიები, მხოლოდ მათ ეთმობათ, რაც, თავისთავად, საზოგადოების ზომიერებისა და მოზარდი თაობის ზნეობრივ-მორალური გადაგვარებისთვისაა გამიზნული!.. ეს კარგად გამოჩნდა ბოლო დღეებშიც!..

თითოეული ჩვენთავანის ვალია, განგაშის ზარები ჩამოვრეკოთ საქართველოში და ამ საშვილიშვილო საქმეში სრულიად საქართველოს მოსახლეობა, ყველა პარტიის, კულტურისა და ხელოვნების ჭეშმარიტი მოღვაწეები და მათ შორის ქართველი მწერლებიც, ერთად უნდა დავდგეთ, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოხდეს სამართლიანობის აღდგენა, რათა ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს სამომავლოდ გაერთიანებული, გაძლიერებული, სულიერად და ზნეობრივად ამაღლებული საქართველო დაუტოვოთ, სადაც ყველა ღირსეულად იცხოვრებს!..

გიგლა აბდალაძე

დიდი ლხინი გამართა მუხრანში ბატონიშვილმა ქეთევანმა ახლადშეძენილი რძლის მარიამისა და თავის უფროსი ძმის, ტახტის მემკვიდრის გიორგის პატივსაცემად.

საგანგებოდ იყვნენ მონვეულნი სუფრაზე „მშვიდნი ქალნი საჩინოდ მორთულნი, მშვენიერებითა მბრწყინავნი, ტკბილად მოუბარნი, საოცრად მროკველნი“ თავადიშვილნი. კიდევ უფრო ბრწყინავდა მათ შორის საქართველოს მომავალი დედოფალი 14 წლის მარიამ ციციშვილი.

კარგა ხანს ართობდნენ შეკრებილი ქალები მარიამს ცეკვა-თამაშით, სიმღერებით, ლექსებით და შაირებით.

ათი დღე გაგრძელდა ლხინი.

მორიგეობით, დროდადრო იმართებოდა მსგავსი წვეულებები სამეფო კართან დაახლოებულ თვალსაჩინო თავადთა ოჯახებში.

ერთგვარი სანაცვლო ღონისძიებები იყო ეს ყველაფერი იმისა, დიდი ქორწილი რომ არ გამართულა ბატონიშვილის გიორგის და მარიამის შეუღლებისა.

საპატიო მიზეზი ჰქონდა ამას ყოველივეს.

ახლადგარდაცვლილი იყო გიორგის პირველი მეუღლე, სილამაზით და სათნოებით სახელგანთქმული, ცხრა შვილის დედა ქეთევან ანდრონიკაშვილი.

მოულოდნელად და ერთბაშად სწევია მძლავრი სიყვარული ბატონიშვილ გიორგის ციციშვილის ქალის მარიამის ხილვისას, ამიტომაც გადაუდგამს ეს არცთუ მოსაწონი ნაბიჯი ბატონიშვილს.

ღირსეულად დაუოკებია პირველი წყენა ამ ამბით გამონვეული დიდებულ მეფესა და სარდალს ერეკლე მეორეს.

დედოფალ დარეჯანთან ერთად საჩუქრებით დატვირთულს მიულოცია შვილისათვის დაქორწინება.

კარგად სცოდნია დედოფალ დარეჯანს ახლადშეძენილი რძლის განსაკუთრებული სიყვარული ნიგნებისადმი, ამიტომაც გამოირჩეოდა საჩუქრებს შორის სწორედ ნიგნები.

ეკლესიის მესვეურთაც ნიგნები მოურთმევიათ საჩუქრად ნეფე-დედოფლისათვის, განსაკუთრებით სასულიერო ლიტერატურა - მშვენივრად დანერგილი ხუცურად „დაუფდომელი“ და „პარაკლისი ღვთისა დედისა“... და სხვა.

და მაშინ „შესწირა თვით დედოფალმან სიონის ეკლესიას ბარძიმ-ფეშხუმი, რომელსაცა აქვნდა შთასმული სამი დიდი ალმასი გარემო გამოკვეთილისა მაცხოვრისა ხატისა“...

თავს ევლებოდნენ დიდი ერეკლე მეორის რძალს სამეფო კარზე. გამოცდილი გამდელნი და მასწავლებელნი მუდამ მოუწოდებდნენ ჯერ კიდევ ნორჩ მარიამს მიეღო და შეეთვისებინა მალაღლი წრის წეს-ჩვეულებანი და სწავლება. გულისყურით აითვისა და შეისისხლხორცა მათი შეგონებანი მომავალმა დედოფალმა, ასე ცხადად რომ წარმოჩინდა მისი ცხოვრების გრძელ გზაზე.

მეტად რთული ამოცანის წინაშე იდგა ჩვენი ქვეყანა იმხანად. მსოფლიოს სამი დიდი სახელმწიფო - სპარსეთი, ოსმალეთი და რუსეთი ერთმანეთს ეცილებოდნენ, რათა თავისი გავლენის ქვეშ მოექციათ საქართველო.

დიდი ხნის მსჯელობისა და ფიქრის შემდეგ ერეკლემ მუსლიმანურ სპარსეთსა და ოსმალეთს მაინც რუსეთი ამჯობინა.

...მართლმადიდებელი ქრისტიანული ქვეყანაა ჩვენსავით. სანდოა, არ გვიდალატებს. გაჭირვების უამს დაგვეხმარება მაჰმადიანურ ქვეყნებთან ჭიდილში, დაკარგულ ტერიტორიებს - მესხეთ-ჯავახეთს დავიბრუნებთ, ევროპულ კულტურას ვეზიარებით, ამ გზით გავნათლდებით, წელში გავსწორდებით, გავიმართებით და მერე თავად მოვუვლით ჩვენს თავსო.

სულ სხვა მიზნები ამოძრავებდა დიდ რუსეთს ჩვენთან მიმართებაში. მალე რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო და ასე

უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი

ენადა: საქართველოც ჩაბმულიყო ამ ომში რუსეთის სასრებლოდ, რაც მეფე ერეკლემ და იმერეთის მეფე სოლომონ პირველმა უყოყმანოდ შეასრულეს.

შემდეგ კი, როცა რუსეთსა და თურქეთს შორის 1870 წლის ქუჩუკ-კაინარჯის ზავი დაიდო, სიცრუე აშკარა გახდა - საქართველოს ინტერესი რუსეთს არც კი გახსენებია. უფრო მეტიც, თავად ომის პერიოდშიც რუსი გენერალი ტოტლებენი რუსეთის სამეფო კარის შეგონებით აშკარა ღალატსაც არ ერისებოდა. იგრძნეს რა და თვალნათლივ დაინახეს კიდევ რუსეთის ორპირობა, მეფის კარზე შეიქმნა წრე დარეჯან დედოფლის ხელმძღვანელობით, რომელიც დაჟინებით ურჩევდა ერეკლეს - გაეწყვიტა საეჭვო კავშირი რუსეთთან.

ჯიუტად სჯეროდა თავად მეფე ერეკლეს რუსეთისა და მთელი სერიოზულობით ამზადებდა კიდევ სამოკავშირეო ხელშეკრულების ტექსტს, გეორგიევსკის ტრაქტატის სახელით რომ გახდა ცნობილი, რომელიც 1783 წელს გაფორმდა კიდევ გეორგიევსკში.

მეხის გავარდნას ჰგავდა ეს ტრაქტატი მუსლიმანური სამყაროსათვის.

ერთობ გახშირდა ამიტომაც მეზობელი ქვეყნების წარმომადგენელთა სტუმრობა ჩვენს ქვეყანაში.

ყელგანვდით სთხოვდნენ ისინი ერეკლე მეფეს, არ შემოეშვა ამიერკავკასიაში რუსული ჩექმა. სამაგიეროდ ათასგვარ დაპირებებსაც იძლეოდნენ. მუქარის ტონიც გაისმოდა ზოგიერთ მათგანში, გავერთიანდებით და დაგსჯითო. იმხანად დაშლილმა, დაქუცმაცებულმა სპარსეთმა დაიწყო კიდევ საომარ ძალთა გაერთიანება.

აშკარად ხედავდა მეფე ერეკლე მუსლიმანთა მზადებას და სათანადო თხოვნასაც არაერთგზის გზავნიდა, სადაც ჯერ არს - შეესრულებინა დიდ რუსეთს გეორგიევსკის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებანი, დახმარებოდა საქართველოს სამხედრო ძალით.

ამაოდ. გამალებით ემზადებოდა ამ დროს სპარსეთი საქართველოში შემოსაჭრელად.

უზარმაზარ სამხედრო ძალას მოუყარა თავი საამისოდ ალა-მაჰმად-ხანმა. რუსეთი კვლავ დუმდა.

შედეგი მეტად სავალალო აღმოჩნდა.

გამძვინვარებულმა ალა-მაჰმად-ხანის უზარმაზარმა ლაშქარმა გადაბუგა ჩვენი ქვეყანა.

დაანგრეს, გადაწვეს, გაძარცვეს საქართველოს დედაქალაქი თბილისი 1795 წელს.

...დიდხანს აღარ უცოცხლია ღრმად მოხუცებულ მეფე ერეკლეს ამის შემდეგ.

1798 წელს მიიბარა მისი მშფოთვარე და ძლიერი სული უფალმა. საქართველოს სამეფო ტახტს მემკვიდრე გიორგი XII დაეუფლა. მისი მეუღლე მარიამი საქართველოს დედოფალი გახდა.

აქამდე ჩრდილში მდგომი მარიამი აქტიურად ერევა ამ დღიდან სახელმწიფო საქმეებში.

სამეფო კარი კვლავ ორად იყო გაყოფილი - რუსეთის მომხრეებად და მონინალმდეგეებად.

უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი

თავად მეფე გიორგი, ავადმყოფი, სავსებით რუსეთზე იყო მიყრდნობილი. მხოლოდ იმისგან ელოდა შევლას.

და აგზავნიდა ახალ-ახალ თხოვნებს პეტერბურგში - დახმარებოდნენ საქართველოს სამხედრო ძალით. სამაგიეროდ ყველაფერს თმობდა, ოღონდაც სამეფო ტახტი შეენარჩუნებინა და ტახტის მემკვიდრედ მისი შვილი დავითი ელიარებინა რუსეთს.

ერთგულად ედგა გვერდით დედოფალი მარიამი მეუღლეს რუსეთთან ურთიერთობის საკითხში ერეკლე II მეუღლის დარეჯან დედოფლის სანინალმდეგოდ.

თავად რუსეთს ვერაგული განზრახვა ამოძრავებდა.

იმპერატორ პავლეს მიერ გამზადებული იყო მანიფესტი, რომლითაც საქართველოს სამეფო უქმდებოდა და ჩვენი ქვეყანა რუსეთის ერთ-ერთ გუბერნიად ცხადდებოდა.

ავადმყოფი მეფე გიორგი XII გარდაცვალებას ელოდნენ, მანიფესტი რომ გამოექვეყნებინათ.

1800 წელს საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII გარდაიცვალა, სულ მალე თავად რუსეთის იმპერატორი პავლე I მოამთეს შეთქმულებმა.

რუსეთის ტახტზე მისი მემკვიდრე ალექსანდრე I ავიდა.

ოდნავ გადასწია საქართველოს საკითხი უკან ამ ამბებმა.

ახალმა იმპერატორმა ახალი, უარესი მანიფესტი გაამზადა და გამოუგზავნა კავკასიის მთავარმართებელ კნორინგს და გენერალ ლაზარევს აღსასრულებლად.

მკაცრად ავალებდა იმპერატორი ორივე გენერალს, რაც შეიძლება მშვიდ ვითარებაში, ექსცესების გარეშე გამოეცხადებინათ მანიფესტი და დაეფიცებინათ ხალხი რუსეთის ერთგულებაზე.

აშკარად დაინახეს რა რუსეთის ვერაგობა და ღალატი, საქართველოში არსებულ რუსეთის მომხრე და მონინალმდეგე ძალები გაერთიანდნენ და გადაწყვიტეს ერთად ებრძოლათ დამპყრობლების წინააღმდეგ.

საქართველოს დედოფლები დარეჯანი და მარიამი ხელმძღვანელობდნენ ამ ძალებს.

უკმაყოფილების ტალღა თანდათან ძლიერდებოდა.

კარგად ხედავდა ყოველივე ამას პეტერბურგის სამეფო კარი და მოსავალს ეძებდა.

გადაწყდა საქართველოდან ძირფესვიანად ამოეძირკვათ ბაგრატიონთა სამეფო გვარი, მათი ერთგული არისტოკრატია და რუსეთის უკიდევანო

სივრცეში გაეფანტათ ოჯახებიანად, პირველ ყოვლისა, დედოფლები უნდა მოვასწოროთ იქაურობას, ფიქრობდნენ ისინი და სათანადო ბრძანებაც გამოუგზავნეს გენერლებს.

გენერალი ლაზარევი წარმოშობით სომეხი იყო. საქართველოში ჩამოსვლის დღიდან იგი ყოველმხრივ ცდილობდა შეეეწინოებინა საქართველოს მონინავე საზოგადოებას.

განსაკუთრებით სამეფო გვარის წარმომადგენლებისა და პირველ რიგში, საქართველოს დედოფლის მარიამის წინააღმდეგ მოჰქონდა იერიში. ყოველმხრივ ცდილობდა, დაეჩაგრა ეს ამაყი დედოფალი. ათასგვარ ცილისმნამებლურ ქმედებებს იყენებდა მის წინააღმდეგ.

არად ავადებდა დედოფალი გენერლის ასეთ გამომხდომებს. კიდევ უფრო იბოღმებოდა გადიდკაცებული მდაბიო ამის გამოისობით.

სომხებს იმხანად საკმაოდ ძლიერი წარმომადგენლები ჰყავდათ პეტერბურგში, მათაც თავიანთი განზრახვები ამოძრავებდათ საქართველოს მიმართ.

თავგამოდებით იბრძოდნენ ისინი საქართველოს სახელმწიფოს დამხობისა და მის ადგილად ახალი „დიდი არმენის“ შექმნის ფანატიკური გეგმის განსახორციელებლად.

თბილისი უნდა ყოფილიყო ახალი არმენიის დედაქალაქი მათი აზრით.

სულ სხვა მიზნები ამოძრავებდა პეტერბურგს, როგორც ეს ითქვა.

ერთი რამ მაინც იყო მათ შორის საერთო.

ორივე მხარე ცდილობდა, ცხადლივ თუ შეფარვით, ამოეძირკვათ ბაგრატიონთა სამეფო გვარი საქართველოდან, რადგან სწორედ ეს გვარი იყო სიმბოლო საქართველოს სახელმწიფოსი.

საქართველოს დედოფლების დარეჯანის და მარიამის გასახლებით უნდა დაწყებულიყო ეს პროცესი, რაკი მათთან იყრიდა თავს რუსეთის ღალატით უკმაყოფილო საქართველო.

ვერ განახორციელა პეტერბურგის გადაწყვეტილება გენერალმა კნორინგმა, ამიტომაც შეცვალეს იგი.

თავად იმპერატორი ალექსანდრე I უბრძანებდა პირადად ახლადდანიშნულ მკაცრ და უხემ გენერალს, კავკასიის მთავარმართებელ პავლე ციციანოვს: აეძულებინათ დედოფლები თავისი ნებით დაეტოვებინათ, რაც შეიძლება სწრაფად, საქართველო და, თუ არ დათანხმდებოდნენ, ძალით გაეგზავნათ ისინი რუსეთში.

გულით გაიხარა გენერალმა ლაზარევმა ამ ბრძანების მიღებით.

დილით ადრე შემოარტყა ალყა დედოფალ მარიამის სასახლეს.

და შემდგომ, განმარტავს გენერალ ლაზარევის თანმხლები, თბილისის კომენდანტი სააკაძე, ლაზარევი ამალასთან ერთად „შევიდა დედოფლის საწოლ ოთახში და განუცხადა მიზეზი მოსვლისა. მიიღო რა პასუხი მკვეთრი და გადამწყვეტი, რომ დედოფალს წასვლა არ სურდა... ლაზარევი თანმხლებთან ერთად გამოვიდა შესაფერისი განკარგულების მოსახდენად დედოფლის წასაყვანად. ატყდა ხმაური. ლაზარევი ოთახში შებრუნდა და საწოლზე მჯდარ დედოფალს მიუახლოვდა. აი, სწორედ ამ დროს გენერალმა მარცხენა მკერდში მიიღო ჭრილობა თვით დედოფლის ხელიდან იმ ხანჯლით, რომელიც დედოფალს საბნის ქვეშ ჰქონდა დამალული. ჭრილობის მიღებისთანავე ლაზარევმა ოთახში ერთი გაიბრძინა და უსულოდ კარებთან დაეცა“.



ნიკოლოზ კურტანიძე-75

75 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ ივლიანეს ძე კურტანიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ნიკოლოზ!

ჩვენო ძვირფასო თანამოკალმევე!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები პატივისცემით მოგესალმებიან სიკეთითა და პატიოსნებით გამორჩეულ შემოქმედს, ქართული ინტელიგენციის მეტად კოლორიტულ წარმომადგენელს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 75 წლისთავს.

თქვენი სამწერლო დებიუტი 1988 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ქუთაისში“ გამოქვეყნდა თქვენი პირველი ლექსი „სიმღერა ქუთაისზე“. მას შემდეგ თქვენი თხზულებანი — ლექსები და ჩანახატები პერიოდულად ქვეყნდება სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

გულწრფელობა, სისადავე, სათქმელის ნათლად და ხატოვნად გამოთქმის უნარი გამოარჩევს თქვენს პოეტურ კრებულებს, ისეთებს, როგორცაა „ერთი სიცოცხლის სამი პირობა“, „სიცოცხლე გრძელდება“, „თუ ყოველ დილას კვლავ ვიბადები“, „თვალსაჩინო“, „ველარ დამდღის სიბნელე და აღმართები“, „ტაძართან სული ამადლდა“, „საქართველოს სიყვარული გაგვეხადოს გაგვეხადოს წესად“, „არაფერზე არ მწამს ფიცი, შენზე ფიცის გარდა“, „გულწრფელი ფიქრები“. ამ კრებულებში დაივანა საქართველოს წარსულსა და აწმყოზე ღრმად დაფიქრებული შემოქმედის ნააზრევმა, რომელიც სავესტა სევდით, ნუხილით, ურვითა და გოდებით, თუმცა, ამავე დროს, ნათელი მომავლის რწმენა, საქართველოს გაბრწყინების იმედის ნაპერწკალი ლაიტმოტივად მიჰყვება მთელ თქვენს პოეზიას, რომლის ლირიკული გმირი ქედუხრელი და შეუდრეკელი პილიგრიმია, რომელმაც კარგად უწყის, რომ შიშველი მოველინა სამყაროს და თუ რამ უნდა. საგზლად ნუთისოფლის უსიერ ტევრში მავალს, სიყვარულის ცრემლები უნდა, ოცნებებსა თუ ზმანებებში მშობლიური სოფლის სამანებს ელოლიავენ, მის სურნელსა და ანდამატს. და კიდევ იმას ხედავს თვალნათლივ, ვარძიის უშველელ ლოდებზე როგორ აჩუქურთმებს წინაპართა ცრემლი საქართველოს ისტორიას, როგორ ტვიფრავს მატთანებს ჩვენი მონამებრივი არსებობისა.

დიდი და მშვენიერი ცხოვრებისეული გზა განვლეთ. ფართო საზოგადოება გიცნობთ, როგორც ელექტრონის ჩინებულ სპეციალიტსა და გამოთვლითი ცენტრის დახელოვნებულ პროგრამისტს, რომელმაც ათწლეულები მიუძღვნა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის წინსვლასა და

განვითარებას. სწორედ იქ, იმ ქარხანაში, განვლეთ სახელოვანი გზა რიგითი თანამშრომლიდან ქარხნის დირექტორის მოადგილეობამდე. ამიტომაც გვიხარია და გვეამაყება ასეთ მამულიშვილთან ურთიერთობა და მეგობრობა ვისაც შეუძლია ჩუმად და აფიშირების გარეშე აკეთოს დიდი საერო საქმეები.

თქვენი ღვაწლი, თქვენი მწერლური საქმიანობა აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიებით აღინიშნა. დაჯილდოებული ხართ საქართველოს მწერალთა კავშირის მაღლიერების დიპლომით და ქართული კულტურის ამაგდარის ნოდებით.

ბატონო ნიკოლოზ!

კიდევ ერთხელ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩინებულ პოეტსა და მოქალაქეს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ბატონო ნიკო!

რა უცებ გავიდა 5 წელი. თითქოსდა გუშინ ვიზიემეთ შენი 70 წლის დამსახურებული იუბილე. რომ არ განვმეორდე, დავიწყებ იმით, რომ სამაგალითოა პოეზიით შენი სამსახური სამშობლოსადმი. შენს ლექსებში იგრძნობა ის მუხტი, რომელიც ასე სჭირდება დღეს ჩვენს მღელვარე საქართველოს. უკომპრომისობა, არავითარი ქედის მოხრა ძლიერთა ამა ქვეყნისათა წინაშე, მხილების იმგვარი ძალა, რომ ზოგი ლექსი სილის განწინს ტკაცუნად მიაჩნიათ მავანთ და მავანთ. ამავე დროს თანაღმობა გზასაცდენილ თანამემამულეთა მიმართ, გულმხურვალე მონოდება, რათა გადამთიელებს არ დაუტოვონ თავიანთი ქვეყნის მიწა-წყალი და ბედის საძიებლად უცხო ქვეყნებს არ მიაშურონ. ასეთია შენი პოეზიის პათოსი და ამიტომაცაა, რომ „მწერლის გაზეთში“ დაბეჭდილ თუ ცალკე წიგნად გამოცემულ შენს ლექსებს ყოველთვის დიდი ინტერესით ელის მკითხველი.

მე პირადად არაერთგზის გავმხდარვარ მონმემისა, თუ რასიყვარულით გხვდებიან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რა გულისყურით გისმენენ მკითხველები და რა მაღლიერი თვალებით შემოგცქერიან, რადგანაც შენგან ტრაფარეტული აზრები კი არა, ყოველთვის მართალი, გულის მოსაფხენი სიტყვა ესმით. სამაგალითოა თქვენი, როგორც მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ბურჯის და მისი გამგეობის წევრის დამოკიდებულება კოლეგებისადმი. ეს დამოკიდებულება გაჯერებულია თანაგრძნობისა და მაღალი ყურადღების ჭეშმარიტად ინტელიგენტური დამოკიდებულებით.

სამაგალითოა თქვენი საზოგადოებრივი საქმიანობა. აჰა, 75-ს მოიყარეთ და თქვენი ცხოვრების გზა განათებულია მაღალნიჭიერი პოეტისა და კაცური კაცის ცხოვრებისეული ათინათით. ხოლო ის, რასაც სახვალოდ პირდებით ქართველ ხალხს მჯერა, ისე სანიმუშო და ძვირფასი იქნება, როგორც აქამდე იყო.

გილოცავ სახელოვან იუბილეს, ჩემო ძვირფასო მეგობარო.

რევაზ მიშველაძე

ასე მგონია

ფიქრებს გადავშლი ცისფერ მანდილად, მოგახვევ ჩემი ბავშვობის მთვარეს, წლები გაქრა და ვხედავ ნამდვილად, შავი თვალების იმ სიანკარეს.

ჩემ ღიმილს შენი შეკრული წარბი ისე ხვდებოდა, ვით ჩაქუჩს გრდემლი, მომაგონდება დამშრალი არხი, უქმად დაღვრილი ალალი ცრემლი.

ასე მგონია მოვალ სკოლაში შენს სახეს ვნახავ, ყინვით დაფერილს, გავეჯიბრებით, რითმის პონაში და მერხში ვნახავ წერილს დაკეცილს.

ახლაც ვერ ვხვდები მაშინდელ ამბავს, შენც გიყვარდი, თუ მე შემიცოდე, ციხის კედელთან აღმართზე მავალს ორივე ხელი გამომიწოდე...

ფიქრებს გადავშლი ცისფერ მანდილად მოგახვევ ჩემი ბავშვობის მთვარეს, წლები გაქრა და ვხედავ ნამდვილად შავი თვალების იმ სიანკარეს.

გაბიანდება მჯერა

ცხრა ოცნების კალო ვლენე, ცხრა კვლავ გასალენია, ცხრა მთის ბილიკები ვკეცი, ცხრის კვლავ დასაკეცია.

კალოს ვლენავ, ბილიკს ვკეცავ, — გავიარე ცხრანყარო, გული წამებს კენკავს, კენკავს, ბრუნავს მთელი სამყარო.

მზემ სხივები მისცა მთვარეს, — და ვანათებ იმ ცას, თორემ არც შენ გაგახარებ იუპიტერს ვფიცავ“.

მთვარემ: „ჩემო მბრძანებელო, რად კადრულობ, რისხვასო, ღრუბლებს აკრავს მთას და მდელოს, — თვით მოჰკითხე მინასო.

პირს იბურავს უფრო ხშირად, არ მაჩვენებს სახეს, იქით ხალხის გასაჭირად, აქ, მე მიგებს მახეს“.

კალოს ვლენავ, ბილიკს ვკეცავ ბარისას თუ მთისას, თუ დამიცდა ფეხი, — ბნელა, მტრისას, მტრისას, მტრისას.

ფიქრი მაინც მიდის, ბედავს, — გავიარე ცხრა წყარო, გული წამებს კენკავს, კენკავს, ბრუნავს მთელი სამყარო.

სადღაც ვხედავ ცისკრის ვარსკვლავს, თუმცა ირგვლივ ბნელა, მე სიბნელის მაინც არ მწამს, გათენდება, მჯერა!

ია და პატარძალა

შენც მიყვარხარ, პატარძალაც, ორთავ ფანჯარაზე ხარობთ, პატარძალა გეჯიბრება, აყვავილდა, პატარძალობს.

ყოველ დილით გეფერებით. წყალს და საკვებს გინაწილებთ. გატყობთ, ძლიერ გიხარიათ, თქვენ მახსენებთ სიყმანვილეს.

რა ვქნა, ჩემო ყვავილებო! წლებმა გული ამიჩუყა, გულს მალამოდ რომ ედებით, წარსულ ტანჯვას აღარ ვწუხვარ.

ია—იავ, დას მაგონებ, ყმანვილობის სიყვარულსაც. სიმბოლო ხარ, რაღაც გრძნობის, სიამისგან თვალებს ვხუჭავ.

პატარძალა მეპრანჭები, მართლა, როგორც პატარძალი, ლამაზ დღეებს მახსენებ და ფეთქავს გულში გრძნობის ალი.

ვცდილობ, ჩემო ყვავილებო! რომ გიმღეროთ მაღალ ჰანგზე, აყვავილდეთ, თქვენც ამღერდეთ, აწმყოზე და მომავალზე.

ისეთი ბიჭი დაბადებულა

ისეთი ბიჭი დაბადებულა, მგლისმუხლებსა და თვალებბრიალა, დედის და მამის გრძნობები ერთად, როგორც კოცონი ააბრიალა.

მან, გაუჩინა მომავალს დვრიტა, მან, გაუჩინა ყველას მიზანი, მამა ისეთი გახარებული, წინ შემხვდა, მაგრამ ველარ ვიცანი.

ძმებსაც გაუხსნა გულის კარები — ღიმილით შეხვდა „ენაკვიმატებს“, გულს ჩაუღვარა ისეთი სითბო, კაცი უკეთესს, რომ ვერ ინატრებს.

დღეს ეს პატარა გაქრისტიანდა, ძმებს ამოუდგა სულით ნათელი, მთავარი არის სამივე ერთად, სამივე ერთად არის ქართველი.

ღმერთმა დალოცოს მათი ოჯახი — მათი ჯილაგი, გვარი, დღეს ქრისტე ღმერთი მოსულა ჩვენთან დღეს ხომ ზეიმი არის.

ისეთი ბიჭი დაბადებულა, მგლისმუხლებსა და თვალებბრიალა, დედის და მამის გრძნობები ერთად, როგორც კოცონი ააბრიალა.

მზია ხეთაგური

ჰო, თვალნათლივ მახსოვს თქვენთან დაკავშირებული ყოველი დღე, მსჯელობა, კამათი, უთანხმოება... უბრალოებით სახვე გქონდათ გულები, მაგრამ თქვენი გონება არც ისე უბრალოდ და არც ისე დანდობით ებრძოდა მწერლური ღირსებისთვის მიუღებელ ფაქტებს, ადამიანებს, მიმდინარე პროცესებს...

მე, თქვენზე გაცილებით უმცროსს, გულმხურვალედ მიმიღია მონაწილეობა კამათში და არასოდეს მახსოვს, რომ გეტყვათ, შენ ვინ გეკითხება, ვისი ტიკი-ტომარა ხარო! ძალიანაც კარგად იცოდით, ვინ ვინ იყო და იმიტომ იცოდით, რომ საკუთარი მუცლისგრემით არ ვყოფილვარ დაავადებული და რომ ჩემი ლამის ალვირახსნილი გულახდილობა, სხვა არაფერი იყო თუ არა საზოგადოებრივი მწერლური პოზიცია, რომელიც თქვენი პოზიციისგან ოდნავ განსხვავების შემთხვევაშიც, მხოლოდ საერთო საქმეს ემსახურებოდა. ის კი დანამდვილებით ვიცო, რომ მთელ საქართველოს ესმოდა, პროფესიონალთა მხრიდან დილეტანტთა და გრაფომანთა მიმართ მწვავე კრიტიკის აუცილებლობა! როგორც ირკვევა, ენის მოჩლექვით ნათქვამი სიმართლე არც ისე შორს დგას პირფერობისაგან, ხოლო სიძულვილის ენაზე ნათქვამი - პროვინციალიზმისგან! დღეს მწერალთა კავშირის არსებობის 100 წლის მანძილზე უკვე XXV ყრილობა ჩატარდა. სწორედ ზემოთ ნახსენები

ენის მოჩლექვა ან სიძულვილის ენაა, ასე რომ ასამარებს ღირსეული ადამიანების მნიშვნელობას და ამ სამარეზე „ნანვიმარ სილაში ვარდის“ ნაცვლად გამხმარი სიტყვების გროვა ყრია! საქმე ისეა ანეხილი, რომ ჯერაც შეუძლებელია - ვაჟა ჩორდელის მიერ ადრეულ წლებ-

დამტკრეული სავარკლეპი ანუ 90-იან წლებამდე და ეროვნული მოძრაობის წლებში საქართველოს მწერალთა კავშირის თავკაცების ხსოვნას, აბრეთვე XXV ყრილობის მონაწილეებს!

ში გამოცემული გაზეთის სათაურისა არ იყოს, „ტყუილ-მართლის“ გარჩევა ე. წ. ოპოზიციის ფონზე! როგორც ნინა ყრილობაზე, ახლაც რამდენიმე, მაგრამ ერთსახოვანი „ოპოზიცია“ იბრძვის უკვე დამტკრეული, უზურგო სავარკლეპის შესანარჩუნებლად ან მოსაპოვებლად! და ვეჭვობ, (გამონაკლისზე გამონაკლისის გარდა) მწერლობის ბედი ისე აღელვებდეს ვინმეს, რომ თითქმის შიმშილის ზღვართან მყოფ მართლა მწერალზე (ან, თუნდაც, უთვალავ ე.წ. „კავშირის წევრებზე“) ზრუნავდნენ ისე, როგორც საკუთარ კეთილდღეობაზე. ასეთ ზრუნვას ანუ სამაგალითო ზრუნვას, საბჭოურ წლებშიც და საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ ურთულეს წლებშიც, ახერხებდით ისევ თქვენ! ახერხებდით ავტორიტეტით, გამიზნული დიპლომატიითა და თავგანწირული ბრძოლით მართლა მწერალთა შემოქმედებითი სიცოცხლის შესანარჩუნებელ-გასაგრძელებლად!

მოჩვენებითობა გაქრა - ნინ დაუნდობელი სიმართლეა, როგორც არ უნდა გვიჭირდეს, უსათუოდ უნდა შევძლოთ და შევამჩნიოთ, რომ ჩვენ უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული ძვრების ეპოქაში მოგვინია ცხოვრება. ჩვენ საპატიო, გამორჩეული, ფსიქოლოგი-

ურად დატვირთულ პერიოდში არსებობისა და მოღვაწეობის ღირსნი გაგხდით. დიას, დიას, ღირსნი! ჩვენ გვერგო პატივი ამ უსაშველობაში ვუშველოთ და „ნარეუძლვეთ ერს“, „მივცეთ მომავალი ხალხს!“ წინამძღოლობა კი კვლავ ჩვენს ღირსებაში მდგომარეობს, უღირსი მდგომარეობის ღირსეულად გაძღვებაში, ღირსეულად ამბოხში და ღირსეული სიტყვის თქმაში. მე ვლაპარაკობ მწერლებზე და არა გრაფომანებზე.

...წლების ნინ ქართულ-ოსური მწვავე კონფლიქტის პერიოდში ვწერიდი: „ნინ, ჯიგიტებო, ნინ!“ ამ მონოდებაში ჩემი გამწარებული სული უკან დახევისკენ მოუწოდებდა თანამემამულეებს, რადგან მაშინდელი მათი „ნინსვლა“ ოსური ენისა და ფიზიკური განადგურების ტოლფასი იყო. ახლაც ვიმეორებ, ოღონდ მონოდების გადაადგილებით მწერლების მიმართ: „უკან, მეგობრებო, უკან, ანუ ნინ!“ - ღირსებისა და ერის გასაძლიერებლად!

სიბრძნითა და სულგრძელობით შევხედოთ გარდაუვალობის სიმკაცრეს ანუ, „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი“... შევისუნთქოთ ყველა შხამი, სიბინძურე, სიცრუე, წყენა, ტყვილი, სიხარბე, სისუსტე, ძალადობა, უფიცობა, სიძულვილი, სიყვარულის ნაკლებობა... მაგრამ გამოვისუნთქოთ მხოლოდ სულიერი ჟანგბადი - ლიტერატურა!

სიცოცხლე დღესაც გრძელდება, ოღონდ იგი მოკლდება ყველგან და ყველასგან მივიწყებული პატიოსანი სულის მწერლებისთვის.

რაც შეეხება დამტკრეულ სავარკლეპს, ახალი შემოქმედი დურგალია საჭირო და არა მჭახე სიძულვილით სახვე ჩაქუჩი და ლურსმნები, რომლითაც ჯვარზე მიაჭედეს ქრისტე! კმარა ქრისტიანობისა და მისიონერთა სახელით ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი მწერლების გაბრყვების მცდელობა! კმარა პროვოკაციები, რომელიც პირველ რიგში, საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის მიმტაცებელი რუსეთის იმპერიის ნისქვილზე ასხამს წყალს! ჯერჯერობით შენარჩუნებულ იმ 80 პროცენტს მაინც ნუ ნავართმევთ ერთმანეთს, ყველამ ვიცით, რომ „სხვის საფლავს ვერავინ ამოავსებს!“ ხოლო დროებითი დიდებით ტკობა მხოლოდ დროებითი ტკობაა და ეს მარად ასე იქნება!

ჩემო კოლეგებო! ნებისმიერ თქვენგანს მივმართავ: მინდა მჯეროდეს, რომ ამ ჩემ ერთგულებით სახვე ტყვილიან სიტყვას იმ სიყვარულით მიიღებთ, რა სიყვარულითაც მიყვარხართ ყველანი, რადგან მე მიყვარს ლიტერატურა ჩემში და არა ჩემი თავი ლიტერატურაში (კ. სტანისლავსკის შეგონების მიხედვით).

მადონა კალანდია

თამაზ ლიპარტელიანის შემოქმედებას კარგად იცნობს მკითხველი საზოგადოება. მის მიერ გამოცემული ისეთი ნიგნებიდან, როგორცაა პოეტური კრებულები: „დედის ცრემლები“, „აფხაზეთო, ედემ-ბალო“, აგრეთვე მისი დოკუმენტური პროზით აფხაზეთის ომზე: „ომი აფხაზეთში 1992-93“... (რომელიც მისი აქტუალობის გამო სამჯერ გამოიცა).

თამაზმა შარშან გამოსცა ახალი პოეტური კრებული „ადამის აღსარება“, ნიგნი ორენოვანია, თარგმნილია ინგლისურ ენაზე (ნიგნი თარგმნილია ხელოვნებათმცოდნის, ფილოლოგის მზია კვირიკაშვილის მიერ).

მინდა სწორედ ქალბატონ მზიას მიერ დანერგილი წინასიტყვაობის ამონარიდით დავიწყო ამ ნიგნზე საუბარი: „მე და თამაზ ლიპარტელიანი ერთნაირად განვიცდით ჩვენი მშობლიური კუთხის აფხაზეთის უნახაობას... უპატრონოდ მიტოვებული სახლ-კარისა და საფლავების ბედს. იქ დატრიალებულ ტრაგედიას, რაც დრომ გამოცდის სახით მოგვინყო და ახლა ჩვენზეა ბევრი რაამ დამოკიდებული ამ ჩატყხილი ხიდის გასამთლიანებლად.

თამაზს ბევრი ლამაზი და ღრმადარინი ლექსი აქვს ამ ნიგნში აფხაზეთის პრობლემებზე. ადამიანის მთავარი დანიშნულება მისი შემოქმედების ძირითადი თემაა, ის როგორც პოეტი პირდაპირია და უშუალო, სიმართლის მთქმელი, მუდამ ქვეყნის სადარაჯოზე მდგომი ჯარისკაცი. ცისა და მიწის კავშირი, მორალი, სიყვარული ის თემებია, რაც გამოქვეყნებულია მის პოეზიაში, რომლის მთავარ გმირად თავად გვევლინება ხშირ შემთხვევაში.

მინდა კიდევ ერთი ციტატა მოვიყვანო თავად ავტორის წინასიტყვაობიდან: „ჩემს სათქმელს ცხოვრებაში ლექსად ვლაპარაკ-

ობ. ისინი ჩემი განცდების, ჩემი ტყვილების, ჩემი ემოციების, ჩემი აზროვნების მსოფლმხედველობის ანარეკლია“.

თამაზ ლიპარტელიანი მხატვრული სიტყვის ოსტატია, უბალო შედარებებით, მსოფლმხედველობის ფართო თვალსაწიერით, სამყაროს პოეტურად აღქმით. წერს, როგორც კლასიკურ, ისე თავისუფალ თეთრ ლექსებს, რაც ავტორის მრავალმხრივ ოსტატობისკენ მიგვანიშნებს.

მრავალ ლექსთაგან მინდა აღვნიშნო აფხაზეთის თემაზე მიძღვნილი ლექსები, სადაც თავის თავსა და მოძმე აფხაზს ერთობლივ მონანიებისკენ და შეირგებისკენ

თამაზ ლიპარტელიანის „ადამის აღსარება“

მოუწოდებს, როგორც ქართულ გენსა და ფენომენს შეშვენის. ის გუშინდელ მტრადქცეულ მოძმესთან ტოლერანტულია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აფხაზეთისადმი მიძღვნილი ლექსები: „ჩემს ნასახლარზე“, „მებრძოლთა ხსოვნას“, „აფხაზეთი, ჩემი ნოსტალგია“, „გმირთა აღსარება“, „დიდება, საქართველო!“, „აფხაზეთის ზეცა მწყურია“ და სხვა.

განსაკუთრებული ტყვილით მოიგონებს აფხაზეთის ომში დაღუპულ მის თანამებრძოლებს ლექსებში: „გმირთა აღსარება“ და „მებრძოლთა ხსოვნას“...

„მე აფხაზეთის მიწა მეძახის“ - ეს სიტყვები ლეიტმოტივად თან სდევს პოეტის შემოქმედებას და სწამს, რომ აფხაზეთი დაუბრუნდება საქართველოს იურისდიქციას. შეირგდება-გამთლიანდება ორი მოძმე ერთი: „მწამს, რომ აღდგება დიდება ძველი, გამთლიანდება მიწა და ერთი“.

თამაზ ლიპარტელიანი დევნილი, ფუძენარტმეული, წამებული, სამშობლოსათვის პატრიოტი, ნაომარი პოეტი, ამიტომ მის პოეზიაში ხშირად ნახავთ სევდიან ფრაზებს: „დროის ქარიშხლის

მხოლოდ მტვერი ვარ, იმედი მხოლოდ ქრისტეს რწმენა...“

ზოგჯერ პესიმიზმიც გამოსჭვივის შიგადაშიგ: „ბევრჯერ ნატანჯი და ნანვალები, შევზიზნებივარ შვებისთვის სიზმარს...“ მაგრამ ვერც იქ პოულობს ლხენას და ამბობს: „კვლავ იმას ვხედავ, რაც ცხადში ვნახე, ყველგან სიცრუე და ყველგან წყენა, უფალო, მითხარ, რად დამანათლეს?“ „ფიტული დავრჩი სულმოპარული და უზნეობის ზეიმს უარყოფ“.

მაგრამ მომავლის რწმენა და ოპტიმიზმი მის ლექსებში მაინც წინა პლანზე დგას... „და მტრის ჯინაზე მაინც ვმღერი, მსურს გამარჯვების დავლიო თასი“.

თავის პოეტურ დანიშნულებაზე კი ღირსეულად წერს: „ჩემთვის მწერლობა არის სინწინდე, ვით რელიგია და ქრისტეს ჯვარცმა“, „ზეცა სახლია, მე თოვლის ფიქი, ცის სილამაზემ გადაამარჩინა“.

მინდა შემოგთავაზოთ ამონარიდი თემურ შავლაძის წერილიდან „ადამის აღსარება“: „თამაზ ლიპარტელიანი ლექსებში არ თამაშობს პოეტობანას, ის გვაჯერებს თქმულის სინრფელეში, სიალაღში: „წუთისოფელში ყოველივე პირობითია, დაბადების და გარდუვალი სიკვდილის ნიშნით, ჩვენი ცხოვრება რეალურად დიდი მითია, დატვირთული განცდებით და მუდმივი ფიქრით“.

და მართლაც, ყოველივე პირობითია და შედარებით-შეფარდებითი... ჩვენც ამჯერად შედარებით და „შეფარდებითობით“ შემოვიფარგლებით დროიდან დროში, ანუ თქმულით და ართქმულით... და ასე შემდეგ... და ასე შემდეგ...“ (თემურ შავლაძე).

ნიგნის სახელწოდება „ადამის აღსარება“ მინდა ვტყვა, რომ ამართლებს ყოველი ლექსი მართლაც აღსარებასავით იკითხება.



არ შეიძლება არ აღვნიშნოთ თ. ლიპარტელიანის პოეტური დიდებულებით შემკული სატრფიალო ლექსები: „მზე-თუნახავი“, „ქალი ვნახე მზის სადარი“, „ადამის აღსარება“, „ზღვა სიყვარულით“, „ტყეში ქორწილი“ და მრავალი სხვა, რომლებიც მარგალიტის თვლებივითაა მიმობნეული ნიგნში.

თამაზს ნიგნში შეტანილი აქვს პოემა „ნადირთა ქალღმერთი დალი და ჯოყოლა“. პოემა ღრმა შინაარსისაა და ეხება მითოლოგიასა და რეალობის სინთეზს, მის ტრაგიკულ განვითარებასა და ტრაგიკულ დასასრულს... რომელიც მთავრდება თუ როგორ დაერქვა დალის ხეობას ადრინდელ ხანაში ნადირთა ქალღმერთის დალის სახელი... პოემა ერთგვარი შერწყმა რეალობის, მითოლოგიის და მწერლის ფანტაზიის... მწერალმა შეძლო ლამაზად დაეხება და აღენერა ყოველივე.

თამაზ ლიპარტელიანის ნიგნი პირდაპირ მკითხველის გულისკენ მიემართება თამამად, ღირსეული ნაბიჯით, რათა ადგილი დაიმკვიდროს... ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, გზა დავულოცოთ მრავალ საუკუნოვან ქართულ პოეზიაში მის მობრძანებას.

ჯემალ იბერიელი

ლამე მშვიდობისა, ბრწყინვალე გალაქტიკა. არ ვიცი, რას უპირებს საიდუმლო წერილი ჩემ სამშობლოს, მაგრამ ვიცი, სულით ვერ გატეხს, მიტომ გცემ თავყვანს.

ჯემალ იბერიელი

ბარის ფიქრები

ულრან მღვიმეს ასკეტ მყოფი კავკასიის ქედის პირას, სად ჩანქერი შეუქმნიათ წვეთანკარა ნაკადულებს, იდგა ბერი და უსმენდა თვის მშობლიურ ნიაღვს მტირალს, ისტერია არ ცხრებოდა, აბრუებდა სმენას, ყურებს.

დაილოცოს რამან შექმნა ეს ნალკოტი, ეს მშვენიება, კვერთხით ჯვარი გადასახა და უწოდა სიბრძნის წყარო, ანგელოზი მოევილინა, ცხადია თუ მოჩვენება, საოცარი სამყაროა, ხევი ყვირის, ჩიტი გალობს.

ზეცამ მძლავრად გაიელვა, ნაპერწკალი ტყორცნა თვალეზს, ბერს იმედის ელჩად ეცნო, ანგელოზით გაიხარა, ზრდილად ქედი მოუხარა ულრანიდან ზეცის კარებს, გაცისკროვნდა ის ზმანება მარად შუცნობი თვალად.

მღვიმეს ლოცვამ ამოხეთქა, თავყვანი სცა ცად სამებას, ღვთისმშობელს და მის წილნაყარ ტურფა ნალკოტს საქართველოს, ქართველ ერის უკვდავებით საუკუნო უკვდავებას, ისტორიულ სამნებს შორის ცად ატყორცნილ მთას და მდელს.

სკეპტიკური შთაგონება გზით უკუნის სურათს ბაებს, სუდარას ხსნის მათიანეს დახშულ ჟამთა ნიშანსვეტებს, სიბრძნემ შობა ეს ქვეყანა, განვლილი გზა სიბრძნის მატებს, უფალს ისე წარუმართავს, რაც ეკუთვნის საღვთო ედემს.

ჯერ ღმერთებიც რომ არ ჩანდნენ, იდგა ანტიკური ხანა, ერი ფილოსოფიური აზროვნებით მოჰყვა ერას, სიბრძნის წყარო შეუსვია დასაბამით ამ ქვეყანას, ცით ნაბოძი საუნჯე აქვს ქართულ სულს და ქართულ კერას.

გალაქტიკა ამ ქვეყანას ასხივოსნებს მაღლით უხვად, ლალ-ზურმუხტის თვალთ ამკობს მის კოსმიურ სილამაზეს, ბროლად თლილი მწვერვალები ინთებიან აცეტუკად, რაც ამ ქვეყნის სიდადეგს ნიშნად მატებს ცას სინაზეს.

მაშ ქვეყანას რად შეუქმნავს კოშკები და გალავნები, უთავყამოდ რატომ ჰქონდა ძალთა რკენა მტერთან მუდამ, ჩანს ჟამთა სვლაც რომ მონაა, მისტიკური რაღაც ნების, სადაც კეთილ მისიას ქმნის იბადება იქ იუდაც.

ამ ფიქრს შეუპყრია ბერი, მიჰყოლია აზრთა ნებას, კუთვნილ წილ საუნჯის რწმენით ღვთის კანონის დასაცავად, რომ ერთგულად ზიდოს ტვირთი რაც უნდვია ყველა მცნებას, ცხოვრობს განდევნილის წესით, მაგრამ თავის ქვეყნის ფარად.

ამ ფიქრიდან წამით ბერი სმენას უთმობს ფოთლის შრიალს, შვლის პატარა ნუკრით ხელში ხედავს უცხო მანდილოსანს, სწრაფად ზურგი შეაქცია, შავი ჩრდილი სადღაც მიაქვს, ეს ზმანება შავ ბერს აფრთხობს და იზიდავს ყველა მგოსანს.

მისტიკური სამყარო

რამაც შექმნა ეს სამყარო და ბრწყინვალე გალაქტიკა, ვერ მიწვდება არსთა აზრი, ხარბი თვალი, ვერც ოცნება, ვარსკვლავს იქით სივრცე არ ჩანს, თუნდ ჩაიდგას კანდილის ქიქა, მინიერი შვიდს თვლის, მაგრამ კოსმოსს ზღვა აქვს საოცრება.

ვერც დროებას შეაჩერებ, პაუზის წილ ითქვას სიტყვა, მას ხომ თვისი მისია აქვს, მისტიკური საზრუნავი, ვერ მიწვდება აზროვნება, დროს შეიცავს ისიც დიდხანს და მით მივდევთ ამ დინებას, თვით დინებას მიაქვს ნავი.

ან ვინ შეცვლის ჟამთა ნებას, ეს მცნებაა მისტიკური, რაც ანუხებს ვარსკვლავთ მრიცხველს და ანუხებს ამ გზის მწერალს,

ვერ შეისმენს მას წინასწარ მოდარაჯე კაცის ყური და ვერც თვალი ვერ შეამჩნევს ჩასაფრებულ ბედისწერას.

ან რამ შექმნა და არგუნა კაენს მართვით დედამინა, გულში უდულს ცხელი ლავა ამ გიგანტურ საფრენ ხომალდს, მისტიკური აზრი ახლავს, შემეცნებით საზღვრებს იცავს, დრო სამნები ბედისწერა ერთ ნიაღვში იწყებს ძრწოლას.

თვალთ, ხელით თუ მისიით გრძნობ სხეულის არსებობას, გაქვს მცირედი აზროვნება ხან მცდარი და ხან მართალი, გაიძულე სამყაროსთან სიფრთხილეს და ეჭვევემ ნდობას, შემეცნებით წყაროს სვამ და დროა მისი სამართავი.

ნერგთან ნებით შეგაჩერებს იასამნის სურნელება, გახსენდება ვარდის ბალიც ეს სიხარბე მათრობელა, დაიქროლებს ზურგის ქარი თუ ისაა ზეცის ნება, ვერ ეწევი იმ სიამეს მარად შეუცნობელს ფერად.

ფუფუნების შარბათს სვამ და გეჩვენება უკვდავების, ნაყოფს დრო ცვლის, ეს ჩვევაა, ვერ იმკვიდრებ გემოვნებას, ვის უნახავს საიქიოს წაღებული ძღვენი მეფის, თვის სხეულს რომ ვერ ზიდავდეს, ნუ იკითხავ სხვა თუ ნებავს.

ამ სამყაროს თავყვანს თუ სცემ, მაღლი უძღვენ შემეცნებას, სიზმრებიდან მოდენილი კვალ გაჰყვება ისევ სიზმარს, თუ არსებობს უკვდავებაც, არ მონობდეს რაღაც ნებას, ან თუ ვინმე დაემკვიდრა საუკუნო სურვილს, მიზანს.

სკეპტიკური თვალთ არ ჩანს იდუმალი ის მისტიკა, ბრუნავს წრეზე დედამინა, მზის სამყარო შეუცნობი, გამათბობელ სხივს ვერ სტაცებს ვერც პილუსი, ვერც არქტიკა, შემეცნებით სიმბოლოდ ჩანს ზე ბუნებრივ არსთა ცნობის.

სვედრი ქართლოსიანისა

პონტოს ზღვიდან კასპიისკენ ომის ღმერთთ ქმნილ შთაგონებით, კონტინენტთა გზასაყარზე ლეგენდებით ოქროს ვერძის, აზიიდან ევროპისკენ აზიდული მთა-გორებით, ამ პლანეტის ცენტრად თქმული ასტროლოგიური ღერძის.

დგას ქვეყანა ძველთა-ძველი ვინაც შექმნა ოქროს ხანა, უერთგულა ოქროს სანმისს იმერთ და ამიერთ, საქართველო ჰქვია ამ ხატს, ლეგენდაა ეს ქვეყანა, ერი გულადი, პურადი თავის მრავალჟამიერთ.

ცხოვრობს მინათმოქმედებით, ხელოვნებით, ნადირობით, განთქმულია ნერგთა ჯიშით, მეხილე და მევენახე, სამამულო ერთგულებით ღმერთთან აღჭურვილი ნდობით, სახნისი და ხმალ-ხანჯალი დაჟანგული ვერსად ვნახე.

კულტურით და განათლებით მწვერვალზე დგას ყველა სფერო, ხშირად ავბედობის ჟამად უცხო ქვეყნის სახელს აჩენს, სპორტის მრავალსახეობით, მძლეოსნობით გააქვს ლელო, თუმც ამ ნიჭის ანექსიას ისტორია არვის არჩენს.

მოდის, სტუმარ-მასპინძლობით გახსნილი აქვს ყველა კარი, მიაგებებს სტუმარს ლუკმას, თუნდაც დარჩეს ძე მშიერი, მაშ, მართვით დოქით ღვინო, ვინ შეჰკადროს სუფრას წყალი, ბოლო მარცვლით სხვას აპურებს, ამ კანონით მოდის ერი.

ვის უნახავს უცხოეთში მოეტაცოს ქართველს მიწა და თუ მოხვდა იძულებით უერთგულებს უცხო კარებს, საუკუნო გზასავალზე ამ კანონებს ერი იცავს, მგელი მგლობს და ლომი ლომობს, ქართველს კაცობა ავალებს.

რჯულს არ იცვლის ის ადვილად და არც მალავს თვის საუნჯეს, სიამაყის გრძნობას ზიდავს ჰელიოსის ნაშიერი, სანთელ-საგ ზლად შთაგონებით წინაპართა სიბრძნე უძევს, თუნდ ერკინონ ოკეანეს, ძმაო ძმითა ხარ ძლიერი.

ქართველობა სიკეთეა, იცის ერთგულების ფასი, თუმც ვერ იმკის მის საფასურს, სხვა ვერ იცავს ადათ-წესებს, მაშ, მჭედელო, შენც გახსოვდეს, თუნდ მოვიდეს ერთზე ასი, არ შემინდე, ენდე შენს ხვედრს, შენც ერთგულად ხმალი ლესე.

კვლავ რუსთაველის ნაკვალევზე



მაცვალა გონაშვილი და რობერტ ადარი

ერთხელ დიდმა ქართველმა მწერალმა ჭაბუა ამირეჯიბმა გულისტკივილით ბრძანა: „ქართველები ობოლი ერი ვართ“, ბატონი ჭაბუას ყველა ნააზრევს ვიზიარებ, მხოლოდ ამ ერთ წინადადებას არ ვეთანხმები, რადგან ქართველებს გვყავს სულით, გულით ერთგული მონათესავე ერი ქართველი ებრაელები, რომელთაც თავის საფიცარ ისრაელთან ერთად გულისგულზე საქართველოც აწერიან. ორი სამშობლო საქართველო და ისრაელი - ისრაელი და საქართველო ქცეულა ამ მაღლიერი ერისთვის სალოცავად და სათაყვანოდ. დედამინის ვერცერთ მხარეში ვერ ნახავ ქვეყანას, რომლის მოქალაქეებიც ასე უფრთხილდებოდნენ ქართულ ენას, ასე თაყვანს სცემდნენ ქართულ კულტურას, ასე უხსნიდნენ გულის კარს ქართველ თანამომძეებს. ებრაელი და ქართველი კაცის მეგობრობა საარაკოა. ამ ორი ერის შვილს რუსთაველის სახელთან ერთად მისი სიტყვებიც გაუთავისებია: „ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია“. ეძებენ ერთმანეთს, უყვართ და უფრთხილდებიან.

სწორედ ამ მეგობრობის დასტური იყო მაისის თვეში ისრაელში ებრაულ-ქართული კულტურული ურთიერთობების საქველმოქმედო ორგანიზაციის „გულთა კავშირის“ თაოსნობით ჩატარებული ლიტერატურული ღონისძიებები, რომლის პრეზიდენტიც მწერალი და საზოგადო მოღვაწე, თხემით-ტერფამდე ინტელიგენტი კაცი და ნათელი სულის პიროვნება რობერტ აჯიაშვილია.

სწორედ მისი მინვევით ესტუმრნენ წმინდა მიწას პოეტი მაცვალა გონაშვილი და პროზაიკოსი ნოდარ კობერიძე.

პოეტ ქალბატონს ებრაელმა მეგობრებმა გრიბოედოვის თეატრში გამართულ მის საიუბილეო ღონისძიებაზე ასეთი წერილი მისწერეს: „ისრაელის ქართველ ებრაელთა საზოგადოებრივი გაერთიანება მიესალმება და ულოცავს ქალბატონ მაცვალას საიუბილეო თარიღს. უსურვებს ბიბლიურ, ხანგრძლივ, ჯანმრთელ და სულიერი სიმშვიდით აღსავსე სიცოცხლეს. ქალბატონი მაცვალა მრავალ ადამიანურ სიკეთესა და წარმატებული შემოქმედების ფონზე ერთ საუკეთესო თვისებასაც ფლობს - იგი არა მარტო პრაქტიკულ ნაბიჯებს

დგამს ქართულ-ებრაული უნიკალური ურთიერთობის გაღრმავებისთვის, არამედ იღწვის იმ მუხტის შესანარჩუნებლად, რომელიც ასერიგად უხდება და ალამაზებს ორი კულტურული ერის საკუთნობრივ თანაცხოვრებას, რომლის დასტურიც მის მიერ ამ რამდენიმე წლის წინ ჩატარებული პოეზიის საღამო ისრაელში, ჯვრის მონასტერში და მისი თაოსნობით გამოსული ორენოვანი ქართულ-ებრაული პოეზიის ანთოლოგია. ვიმედოვნებთ, რომ ეს საზეიმო დღეები გაგრძელდება წმინდა მიწაზე ისრაელის პატარა საქართველოში, რაც გვირგვინად დაადგება თქვენს მრავალწლიან ნაყოფიერ მოღვაწეობას. 2 ივნისს ქალაქ აშდოდის მუნიციპალიტეტში გვსურს გავმართოთ თქვენი საიუბილეო საღამო, იქ დანთებული წმინდა სანთელი გზას გაუნათებს საუკუნეებით გამოვლილ ჩვენი ორი ერის ძმობას, ერთობას, სიყვარულსა

- ჯემალ აჯიაშვილისა და ნანა შაბათაშვილ-დავარის საფლავები მოინახულებს და გულწრფელი ცრემლით გამოეთხოვნენ სიტყვის დიდოსტატებს. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღე კი ჯვრის მონასტერში შოთა რუსთაველის წმინდა საფლავთან მიახლება იყო.

იერუსალიმში, ჯვრის მონასტრისკენ მიმავალთა ყურადღება წარიტაცა ფირნიშმა, რატომ, რატომ და იმიტომ, რომ ზე აღმართულ აბრას ეწერა - რუსთაველის ქუჩა, ხოლო როდესაც თამარის ხატსა და იქვე ორ ნაბიჯში რუსთაველის ფრესკას შეავლეს თვალი გალაკტიონის ეს ლექსი გაიხსენეს:

„მე შენი უმანკო ნათელი მანვალებს, და ველი სასწაულს.“

თუ გინდათ სასწაული მართლად იხილოთ ისრაელის წმინდა ადგილები უნდა მოილოცოთ, რუსთაველის ნაკვალევს უნდა გაჰყვეთ და მაღლი შესწიროთ უფალს, რომ ქართველ ერს ქართველი ებრაელები ჰყავს მოძმედ და ჭირისუფლად, ისეთი ღირსეული ადამიანები, როგორებიც არიან: რობერტ აჯიაშვილი და ნუგზარ ჯანაშვილი, პაატა იაკობაშვილი და შალვა წინუაშვილი, მერაბ მიხელაშვილი და სიმბა ადარი (ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს).

ამ უმნიშვნელოვანეს ლიტერატურულ დღეებს საქმიანი გაგრძელება ექნება. საქართველოს მწერალთა კავშირი გვემავს ქართულ-ებრაული ლიტერატურული ფესტივალის ჩატარებას, რომელიც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ორი ერის მეგობრობასა და კულტურულ ურთიერთობას.

მანანა გორგიშვილი



და თანაცხოვრებას 27-ე საკუნეში გადაბიჯებულ გზაზე.

გელოდებით ბიბლიურ მიწაზე, რომელიც ჩვენმა დიდმა სულმნათმა შოთამ აირჩია სასუფეველად უკუნიითი უკუნი-სამდე.

წარმატება თქვენს საზეიმო საღამოს. ლეხაიმ, მეგობრებო. “

„გულთა კავშირის“

პრეზიდენტი - რობერტ ადარი

სწორედ ამ მინვევით ესტუმრნენ ქართველი მწერლები ისრაელს. დაუფინყარი იყო ღონისძიებები, რომელიც გაიმართა აშდოდში, თელ-ავივში საქართველოს საელჩოში, ქართულ საკვირაო სკოლაში, ქალთა ასოციაციაში (ხელმძღვანელი ლია კრიხელი), მაცვალა გონაშვილმა და ნოდარ კობერიძემ უსაყვარლესი მეგობრების და ქართველი და ებრაელი ხალხის რჩეული შვილების





დავით თედორაძე — 70

70 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დავით რეფიყის ძე თედორაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო საყვარელო და ძვირფასო ბატონო დავით!

სართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ, დიდხე დიდი სიყვარულით მოგესალმებიან თანამედროვე ქართული პოეზიის კოლორიტულ, გამორჩეულად მნიშვნელოვან წარმომადგენელს, დიდებულ პოეტს, ერისკაცს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 70 წლისთავს.

ქართულ მწერლობაში 1972 წელს შემოაბიჯეთ, როდესაც ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ყმაწვილმა ჟურნალ „ჭოროხში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსები. ამ ლექსებმა ლიტერატურულ სამყაროს კიდევ ერთი უდავოდ ნიჭიერი შემოქმედის დაბადება ამცნო და არა მხოლოდ შემოქმედისა.

ჩვენთვის, თქვენი თანამოკალმეთათვის, თქვენ მეცხოვეს წარმოადგენთ სრულიად საქართველოსა, რომლის იავარქმნა და გაპარტახება არაერთ გარეულ თუ შინაურ მტერს მოსვენებას არ აძლევს და ძილს უფრთხობს. ხმალამოღებული იბრძვით ქართული სულიერების, ქართული სინამდევების დასაცავად, რამაც დღევანდლამდე მოიყვანა თქვენი და ჩვენი საესავი სამშობლო. ვისაც საქართველო უყვარს, მე მისთან ვარ ჩემი აჭარული ძმებით, წერდა დიდი მემედ აბაშიძე და თქვენც სწორედ იმ აჭარულ ძმებში მოიაზრებით, ვინც XXI საუკუნის გარიჟრაჟზე ფართა და მახვილით იცავს აჭარას — ამ უმშვენიერეს და უღამაზეს კუთხეს ჩვენი ქვეყნისა, საიდანაც პირველად შემოაწათა ქრისტიანობის ნათელმა და ამის გამო არაერთხელ დაისაჯა ემპეაუსული ძალებისაგან.

ქართველმა მკითხველმა შეიყვარა და გაითავისა თქვენი ისეთი პოეტური კრებულები, როგორცაა „ბენვის ხიდი“, „ცეცხლის პერანგი“, „მზე ჩუქურთმებში“, „შენი ვარ“, „და მოდის წუთისოფელი“, „ორღანი უკრავს“, „ერთტომეული“, „ხსოვნის ჩირაღდები“, „რჩეული“, „მომავლისთვის, წინაპარისთვის“, შეიყვარა იმიტომ, რომ თქვენი პოეზიის ლირიკულ გმირს (ცეცხლის პერანგი აცვია და ისე ებრძვის მამულის მტრებს, ბედნიერია იმით, რომ არასოდეს დაუდევს ზავი სიბილწესთან, არაკაცობასთან, ბოროტებასთან. უფრო კი პირიქით, მზადაა ბერი თევდორესავით ჩაეკიროს იმ გალავანს, საქართველოს უკვდავება რომ შექვია სახელად. თუ რამ არ სურს ამქვეყნად, უმზეოდ ცხოვრებაა, დარდით დაბინდული თვალებით ყიდის დარდას და ურვას, სამშობლოს წირილობებით აქვს მკერდი დასერილი და სწორედ ამითაა ბედნიერი. თქვენი პოეზია ბედისწერასთან მებრძოლი შემოქმედის პოეზიაა და ესეც ხიბლსა და პენს მატებს მას. ძიების დაუცხრომელი ნყურვილი გამოგარჩევთ სხვათაგან, გულწრფელობა და პოეტური ძალმოსილება, სინატიფე და შინაგანი სიძლიერე

ავტორი ხართ მნიშვნელოვანი კრებული-სა „ხსოვნის ჩირაღდებისა“, რომელშიც

დაივანა თქვენმა მოთხრობებმა, ლიტერატურულმა წერილებმა თუ პუბლიცისტურმა სტატიებმა.

თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია ინგლისურ, გერმანულ, აზერბაიჯანულ, რუსულ, სომხურ ენებზე, შესულია პოეტურ ანთოლოგიებში.

მართლაც რომ დიდი და ნაყოფიერი საზოგადო მოღვაწე ბრძანდებით. მრავალი წელი კურირებით აჭარაში კულტურისა და განათლების ურთულეს დარგებს. იყავით გამომცემლობა „აჭარის“ დირექტორი და მრავალი უნიკალური გამოცემის სულისჩამდგმელი გახდით. არჩეული ხართ საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარედ და აჭარაში ქართული სიტყვის მეოხად და ქომაგად გვევლინებით. არჩეული იყავით ბათუმის საქართველოს ნევრად, ხოლო 2016 წლიდან აჭარის უმაღლესი საბჭოს ნევრად და განათლების, კულტურის და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ გვევლინებით.

თქვენი გარჯა და რუდუნება ღირსების ორდენით აღინიშნა — დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ორდენით. მონიჭებული გაქვთ ილია ჭავჭავაძის, მემედ აბაშიძის, გიორგი ლეონიძის, ლადო ასათიანის სახელობის, „საგურამოს“, ჟურნალ „ოლეს“ პრემიები, საპატიო ბათუმელისა და პოეზიის რაინდის ნოდებები.

ბატონო დავით! დიხსაც რომ რაინდული ნაბიჯებით დიხსართ თქვენს სათაყვანებელ მამულში და ყველას თვალნათლივ გვიმტკიცებთ იმ ჭეშმარიტებას, რომ ადამიანი კაცთმოყვარეობა, შემწყნარებლობა, თანადგომის და თანალმობის უნარი ჰარმონიულად უნდა ერწყმოდეს პრინციპულობას, შეუვალობას, ზნეობრიობას, როცა საქმე ქვეყნის ყოფნა-არყოფნას ეხება.

კიდევ ერთხელ ღრმა პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჭეშმარიტ შემოქმედს, ერისკაცს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალი პოეტური მწვერვალების დაპყრობას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

კაი ყაი

ჩემს მეგობარს, თვალსაჩინო მამულიშვილს, შესანიშნავ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის მწერალთა ორგანიზაციის თავკაცს, აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს დავით თედორაძეს 70 წელი შეუსრულდა!..

დავით თედორაძემ ეს 70 წელი ღირსეულად განვლო და, როგორც მისი დიდი წინაპრები, ისიც მთელი ცხოვრება ხმალამოღებული იბრძოდა, — ლექსით თუ სიტყვით იცავდა და იცავს მშობლიურ აჭარას და სრულიად საქართველოს, რომელზეც გადამთილეს თვალი კვლავ უჭირავს... მისი გამორჩეული პოეზია და მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობა ამის დასტურია!.. ის ყოველთვის იქ იყო, სადაც ქარიშხალი მძვინვარებდა და „სისხლიანი იდგა ანგელოზი“... ის თედორაძეთა დიდი და ძლიერი გვარის სასახელო წარმომადგენელია, რომელმაც თავის ლამაზ სოფელ ერგეში თევდორე მღვდლის სახელობის ეკლესია ააშენა და სრულიად საქართველოს აქედან ლოცავს და ეფერება!..

ჰყავს უკეთილშობილესი მეუღლე — მადონა ფალავანდიშვილი, შესანიშნავი შვილები — თეონა, შორენა და ირაკლი, უღამაზესი და უნიჭიერესი შვილიშვილები; არის „კაცი შემეული ნიჭით“, ოჯახით, მეგობრებით და, რაც მთავარია, არის კაი ყმა, ქვეყნისთვის გულანთებული მეცნიერე!

ვულოცავ დავით თედორაძეს ამ ღირსშესანიშნავ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და ახალ-ახალ წარმატებებს!..

ღმერთი ჰფარავდეს მას და მის ოჯახს!

ბალათერ არაბული



მურმან ჯგუბურია — 80

80 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე მურმან კონსტანტინეს ძე ჯგუბურია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ბატონო მურმან!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან ჭეშმარიტ შემოქმედს, თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ უღირსეულეს წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 85 წლისთავს.

XX-XXI საუკუნეების გზაგასაყარის ქართული მწერლობა განებივრებული იყო თვითმყოფადი ტალანტების სიმრავლით, უფრო მეტიც, დღესაც მსოფლიო მასშტაბის რამდენიმე შემოქმედი გვყავს, რომლებითაც ნებისმიერი დიდი ლიტერატურული ტრადიციების მქონე ქვეყანა იამაყებდა და რა სასიამოვნოა, ასეთ თანამოკალმეთა გვერდით რომ შესძელით საკუთარი ნიშის გამოძებნა, საკუთარი სანატრიონისა და ნაოცნებარის სულის ქურაში იმგვარი წრთობა, რომ თქვენი ქმნილებანი არავისში არ აერევა გამომგებიან ქართველ მკითხველს.

პირველი ლექსი „ხიდი“ 1958 წელს გამოაქვეყნეთ ზუგდიდის საქალაქო გაზეთ „მებრძოლში“. მას შემდეგ ერთგულად და მუხლწაუხრელად დგახართ მშობელი ქვეყნის, მშობლიური მწერლობის სამსახურში და ბოლომდე იხარჯებით ისე, როგორც ეს დიდი ქართველი მწერლების შთამომავალს ეკადრება.

ფართოა თქვენი თვალსაჩინო. ერთნაირი ძალმოსილებით ემსახურებით მწერლობის ისეთ ურთულეს ჟანრებს, როგორცაა პოეზია, პროზა, ესეისტიკა, მხატვრული თარგმანი

თქვენი პოეტური თუ პროზაული კრებულები („შენ იყურები სარკმლიდან ახლა“, „ოდიშური სახახები“, „შუადღის კარი“, „ასი ლექსი“, „მდინარის პირა ყანა“, „ლექსები“, „ერთტომეული“, „ეკატერინე ჭავჭავაძე“, „შინაური გარემო“, „სიტყვა და ფერი“...) შეიყვარა ქართველმა მკითხველმა, შეიყვარა თუნდაც იმიტომ, რომ მისი შემოქმედება მორწმუნე ქრისტიანის სულიერი ღაღადისია პოეზიის ყველა ურთულესი ნიუანსის ზედმიწევნით ზუსტად მცოდნე ერუდირებული, ღრმადგანსწავლული პოეტისა, რომლის უპირველეს საფიცარს მშობელი ქვეყანა წარმოადგენს, რომელიც ერთი პატარა სოფლიდან — ქაფათიდან იწყება და კაბადოკიის მთაგრეხილებამდე გრძელდება.

თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი მთელი ცხოვრება საკიბორჩხაღე ბადებდა ნწავდა და როგორც ახლა ვიხილეთ

თვალნათლივ, მათ თევზების ნაცვლად ლექსები ამოჰყვა, ნაღდი და უტყუარი, ფიქრიანი და ტკივილიანი, ისეთი, ათას რამეზე რომ დაგაფიქრებს და თან ნაღდი ძელგი ღვინოსავით დაძველებული პოეზიის სურნელს დაგაჭაშნიკებინებს. ამ ლექსების ნაკითხვის შემდეგ, ალბათ, უნდა გაირინდო, რათა მთელი სისავსით შეძლო იმის გასიგრძეგანება, თუ რამ შეძრა წამის წინ შენი სული და გონება, რა საოცარი ძალა ავებს შენს სხეულს დღემდე არნახული სიმშვიდითა და ნეტარებით, ამ სიმშვიდეს არაფერი აქვს საერთო იმ ბიბლიურ სიბრძნესთან, რომელიც ღაღადებს, ამოება ამოთა და ყოველივე ამო არსო. არა, სიმშვიდის სათავეს პოეტის მიერ ადამიანური არსების სრულად გააზრება წარმოადგენს, რომლის თანახმადაც, რაც არ უნდა ღატაკი და უპოვარი იყო, მაინც თავადური ბრწყინვალეებით შეგიძლია უფლისაგან ნაბოძები მცირეზე მცირე საზრდელის მიღება, თუკი ღირსების გრძნობა გააგანია და არავის მონად, გარდა არსთაგამრიგისა, არ დაბადებულხარ. აი, ნეტარება კი იმითაა გამოწვეული, რომ ბედისწერამ იმ ერთი ციდა მინის ნაჭერზე გარგუნა ცხოვრება, რომელზეც ყოველ დილით ვეებერთელა იბერიული მზე ამობრწყინდება ხოლმე და ყველა გასაჭირს, ყველა სატკივარს დაგავინწყებს, უფრო მეტიც, სამყაროს ბრძანებლად წარმოადგენინებს თავს.

თქვენი მშვენიერი პოეზია თარგმნილია უკრაინულ, რუსულ, სომხურ ენებზე.

თქვენს კალამს ეკუთვნის რომანები „შინაური გარემო“, „შემოქმედებითი მივლინება“, მოთხრობა „პატარა იოს თავგადასავალი“, მინიატურების წიგნი „უქმე დღის ჩანახატები“.

ქართველ პატარებს მიუძღვენით ისეთი საინტერესო პოეტური და პროზაული კრებულები, როგორცაა „ყოფილა, ყოფილა, რა ყოფილა“ და „მდინარისპირა ჭალის ზღაპრები“.

დიდებულად თარგმნით ი.ბუნინის, ა.ბლოკის, ჰო სუან ჰიონგის, ვ.ხლენიკოვის, მ.ლერმონტოვის, ა.პუშკინის, ტაო იუან მინის, ჯ. ლეოპარდის, ა.მ.ციკვიჩის ნაწარმოებები, ალთაური ეპოსი.

ბრწყინვალე ესეისტი ხართ. თქვენს ესეებს თემურ ჩხეიძეზე, თენგიზ არჩვაძეზე, თამაზ და ოთარ ჭილაძეზე, ვიქტორ გაბესკირიაზე, თამარ ჯავახიშვილზე, ვახტანგ დავითაიაზე დახვეწილი სტილი, განსწავლულობა და სინატიფე გამოარჩევს, ქართველი მკითხველი ინტერესით შეხვდა თქვენს მონოგრაფიებს „ჭაბუა ამირეჯიბი“ (2002 წ.) და „რევაზ მიშველაძე“ (2007 წ.).

თქვენი მრავალწლიანი მოღვაწეობა ივანე მაჩაბლის, ნიკო ნიკოლაძისა და გიორგი ლეონიძის სახელობის პრემიებით აღინიშნა.

გულით გვახარებს, რომ მწერლური ძალმოსილება, საფანელი და სიბრძნე არც ბოლო წლებში შემოგლევიათ, რისი დასტურიცაა „ციცკარში“ დაბეჭდილი შედევრად ქცეული პოემა „დონ-კიხოტმა გუბერნატორად განმწესების წინ სანჩო პანსას ჭკუა დაარია“.

ჩვენო ბატონო მურმან!

კიდევ ერთხელ სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ერთგულ თანამებრძოლს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



დარეჯან გიორგაძე

ვუაღვნი ალა ღუდაევას მისი ნიბნის გამო

რამდენ ცრემლსა და ვაებას და დიდ სიყვარულს მალავ, რა კარგად დაგინერია, ჩვენი ბრძოლები, ალა! ნიგნი სევდითა ნანერი, ზარნიშად კი აქვს ქობანი, რა კარგად წარმოაჩინე რუსეთის ვერაგობანი, როგორ ლამაზად აღწერე ჩეჩნების ვაჟკაცობანი. დღეს მე არ ვიცი, სადა ხარ, ვით მოგანვდინო ჩემი ხმა, მეორედ მათიერებინე მე დაღუპული ჩემი ძმა. რა კარგად ხმალი ალესე, გაკიცხე კრემლი წყეული, ყველა სიტყვა და სტრიქონი დარდია კვლავ შენეული. მეუღლეს გვერდით ედექი, შენ დაუხუჭე თვალები, ღმერთმა გვიმრავლოს მებრძოლი და შენნაირი ქალები. ჩეჩნეთის მთები ისევე ზურმუხტი და ალმასია, არავის თავს არ დაუხრის ეს მთები და კავკასია. თუმცა დარდით და ცრემლებით ჩვენი გულები სავსეა. მძიმე გზები გასავლელი, ვფიქრობ ისევე წინ ბევრია, არ ნებდება საქართველო, ვერ გატეხეს იჩქერია.

უსამართლობა როცა ზიიომოს

მე მეცოდებით ძლიერ და მენანებით ისევე, ალალ კაცს ბორკილი ფეხზე, სიმართლეს ბოქლომი პირზე, მოვა დრო, როცა ყველას უკულმა შეგსვამენ ვირზე, მორევში ჩავცივდებით, როცა გაივლით ხიდზე, სიმართლეს ვიტყვით, ყველგან ჩვენ მაინც ყოველთვის ჯიბრზე, ჩვენ კვლავაც ვიმდებოთ, დაფუკრავთ, თუნდაც დაწყვეტილ სიმზე. მე მეცოდებით ყველა, თვალეზში ველარ გიმზერო, ხშირადაც მოგვინია მრავალჯერ ჭირთა თმენა, ახლა იწყება ვფიქრობ, იწყება ქვათა ცვენა,

ვხედავ აღარ ხართ ჩვენი, უკვე სიკეთის მდომი, თქვენ კი მოიგეთ ბრძოლა, მაგრამ ნააგეთ ომი.

რა ლამაზი ველია, აქ ჩემი სოფელია, აგერ ჩემი ბაღია, ჭური დამრჩა თავლია, აქ ჩემი ჭიშკარია, აქ სამოთხის კარია, აგერ ჩემი მთებია, რა წკრიალა ხმებია. აქ თეთრი ტყემლები და ბევრი ალუჩებია, პანანინა ჩიტები ფანჯარაზე სხდებიან, პურის მარცვალს კენკავენ, მერე ჩემთან რჩებიან, აგერ ჩემი ჭა არის, აგერ ჩემი ბზა არის, აგერ ჩემი ბილიკი, აგერ ჩემი გზა არის. აგერ ნიშა ხარია, ესეც კი მიხარია, აგერ ჩემი მზე არის, აგერ ჩემი მთვარეა, აქეთ ჩემი ვენახი, აქეთ ჩემი მზვარეა, ამიტომაც სიცოცხლე რარიგად მიხარია. მეზობლები მხვდებიან, დინჯად მესალმებიან, მისი ნახვა მწყურია, ეს ჩემი ყუმურია, ურემი მოჭრიალებს, გზას კი მოჰყეფს მურია, სადღაც სიმღერაც ისმის, ვგონებ კრიმანჭულია, აქ გაშლილი ველია, აქ ჩემი სოფელია, აქ ჩემი ჭიშკარია, აქ სამოთხის კარია, ასე კარგი, ლამაზი, მხოლოდ ჩემი მხარეა.

სადაც წაველ ყველგან დამხვდა, დამედევნა ბედი მქისე, ყველაფერი კარგად მახსოვს, გული მტკივა ისევე ისე, მოგონების ცრემლი მცვივა, სიყვარულით ვერ ავივსე, შენ ხომ ჩემთვის ხმელი ხე ხარ, მე ნედლი ვარ ისევე ისე, შეგუება ვერ შევძელი, ჩემად ვერ გავითავისე, შენ ღამე ხარ კუნაპეტი, მე კი მზე ვარ ისევე ისე, მინდა სულაც დაგივიწყო, ყველა ხატზე დავიფიცე, ცარიელი ფურცელი ხარ, მე სავსე ვარ ისევე ისე, ჩემი გული მაგ შენს გრძნობებს ვერაფრით ვერ შევუთვისე, თუმც ჩემს ამბავს არ კითხულობ, ცოცხალი ვარ ისევე ისე.

თეთრ პალატაში ვინექი როცა ასჯერ დაჭრილი გული მტკიოდა, მოგონებები მკლავდა წარსულზე, უბედურების ცრემლი მცვიოდა. გრძელი გზა ისე გამოვიარე, რომ ნაღვლიანი დღეები ვთვალე, ნუ გაგახარებს სიკვდილი ჩემი, ვინ ამოავსო სხვისი სამარე.



ქეთი ჯოლბორდი

თავისი ბავშვებით, თავისი ბავშვობის მდინარესთან ზის... ხანდახან ნაკადი ირევა მოგონებების გაშვებით... ის მას უვლის... გვერდს უვლის... და სიანკარეს ტალღავს ამ შეგრძნების მანევრირება. თავისი ბავშვებით თავისი ბავშვობას უზის, თვითონაც ბავშვობს... და ვიდრე კენჭები, შვილების თვალებში ისწორებენ სიჭრელეს, აზრი კითხვებს შობს - ნამები განცდებს როგორ იჭერენ...? მდინარე მას უვლის... გვერდს უვლის... და სურნელი მოაქვს, წალეკილი ბალახების სურნელი თითქოს... არც მეტი, არც ნაკლები, ბავშვობა - მოგონებას, მოგონება კალაპოტის სიმაღლეს ითხოვს...

ერთხელ სამყაროს სითეთრეზე მეტად შევეშურდიო და იცი? ისე არასოდეს აღარ ითოვებს... დასანანია გაზაფხულის ფიფქით შებურვა, როცა ამინდთან არსებობაც გამივითომე. წყალობაც არის და წყალობაც, ღრუბლების თასმა, მხოლოდ წვიმები გაიმეტა, სევდის სისველე, თოვლი კი ზამთარს დაუნესა, იქ თეთრ პლედების გარემოცვით მშვიდად ასვენებს... პროტესტის ნიშნად გავასახლე დღე უარაფრო, წვიმას შუბლს ვუშვერ, ისე ვიშლი ყოფილ მიმიკას, განწყობას სურნელს გამოვტაცებ, რომ თავი ვანდო, ნუგემის ფურცლებს და სხეულზე შვებად მივიკრავე. დასანანია გაზაფხულის ფიფქით შებურვა,


როცა ამინდთან არსებობა გამივითომე, მაშინ სამყაროს ჩვენი ყოფნა ისე შეშურდა, ისე არასდროს, აღარასდროს აღარ ითოვებს...

აბსტრაქცია

ყვავილებს მომიტან მაღალყელებიანს, მოჰყვება გული და გონებას ალაგებს. ურჩი სოციუმით ვგავარ ცხელებიანს, სიმშრალით ავავსებ გაბზარულ ლარნაკებს. მსუბუქად გაისმის ურიტმო სოული, ვიდრე ემოცია აქ ყვირილს მორთავდეს, ყელმოდერება ყვავილის დროული, შენს სუნთქვებს ვავროვებ ჩემში რომ მოთავსდეს. ნისლისთმა ქარი კი გაძარცვავს ვერანდას, ყვავილის ქედმოხრა ნეტავ რას მიქადის? ნდობა ისე მიმზერს ფეთქვასაც ბედავს და სიმშვიდეს მაუფლებს, სიბრაზე ჭიქას სდის. მოზიდავ ცის ნაპირს - აქ ვარსკვლავთცვენაა, მოუხდენ ყვავილებს სიცოცხლით ავსებას, აბსტრაქტულ ფერებას გარს კვლავაც ვნება აქვს, მეღვრება თითებში, ვამჩნევ სულს მსგავსებას. მომიტან ყვავილებს ფიქრის ველებიდან, ეჭვებს რომ მიმოჭრის ნდობის ცელებივით... მომიტან ყვავილებს მაღალყელებიანს, მომაფენ მკლავებზე გრძელი ხელებივით...

აალება

სხეული გწყდება და წვას იწყებ ხელებით, ალებს სურთ, რომ გრძნობა დაგიშრონ ვენიდან, ვერ შველი მომავალ წვიმის გაელვებით... და ხტები გემიდან. თუმცა ჩამქრალია აქ ღელვა ვნებებით, წნევაც დაბალი აქვთ ზღვის სულის აირებს, მიყავხარ ტალღას და ცის ნელა შეხებით, თუ გაგანაპირებს - სიმშვიდით შეძლებ, რომ სხეულის იტანო დანვა და აიტან!... სულს გინვავს ვერავინ... თან შვების ტალღებით, სხეული იცვალაო და მიმორწევანიო მოელი ნიშანს, რომ ენთო, ან ჩანელდე, ესწრაფვი ჰორიზონტს, ზღვის მილით ორიოდ, რწმენას და იმედსაც ტალღებით ანედლებ, სასხვათაშორისოდ... სხეულთან ერთად ხომ სულსაც სულ აინყვეტ! ალებად გემების შლა იწყებს ანძებმა... სიცოცხლეს მინა და წყალი და ცა გინყვეტს... მე... მაგვიანდება...!



ბაგრატ ბადიდი

ლოცვა

უფლის ძეო, ჩვენო დიდო მესია, ეს ქვეყანა შენი მოსამწყემსია.

კრავი ღვთისა, შენს წინაშე უბრალო, შეიფარე, ჩვენო დიდო უფალო.

მეოხ ეყავ გულს სნეულს და ჯავრიანს, ჩემი რწმენა შენი წმინდა ჯვარია.

ჩემი გული მაცდურს არ ემონება, შენ ხარ ჩემი ხსნა და სულის ცხოვნება.

უფლის ძეო, ჩვენო დიდო მესია, ეს ქვეყანა შენი მოსამწყემსია.

როცა ჩვენს ტურფა სამშობლოს გადამთიელი გვართმევდა, უხმობდა ხოლმე ქუდზე კაცს - მეფე აფხაზთა, ქართველთა...

მამულის დაცვა მტერთაგან თუმცა მრავალჯერ გაძნელდა, გოჯს არა თმობდა მინისა, მეფე აფხაზთა, ქართველთა...

თუმცა უთვალავ ბრძოლებში მტრისგან მრავალნი მოისრნენ, ჩვენს მეფეს მუდამ იცავდა მისი აფხაზი მოისრე...

ჩვენ ერთმანეთის შეძმობა, ძმებო, მრავალჯერ ვიგრძენით, თავს თვლიდნენ შინაურებად აქ თქვენი შარვაშაძენი...

ჩვენ ერთი გვქონდა მამული, ჩვენ ერთი გვქონდა მიზნები და ამ მიზნიდან ვერცერთი ვერასდროს გავიხიზნებით.

და ვიტყვით: ჩვენი სამშობლო ბოლოს და ბოლოს გამრთელდა, მხარე ღვთისმშობლის წილხვედრი, მინა - აფხაზთა, ქართველთა.

„გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი“. მამია გურიელი

თქვენ იქნებ სულაც არ მოგწონთ ეს ჩემი ლექსი დიდაქტიკური, თქვენი ნებაა, ჩემო ბატონო, მაგრამ მე გირჩევთ, დამიგდეთ ყური.

გთხოვთ აპატიოთ ერთმანეთს წყენა და გაუნოდოთ ერთმანეთს ხელი, მთავარი არის სიკეთის რწმენა, მთავარი არის, იყოთ სულგრძელი.

არ გადაუსვათ ყველაფერს ხაზი, არ მოიძულეთ მოყვასი თქვენი, სულს ნუ წარინყმედთ ბოლმით დაბრაზით, იარეთ ქვეყნად ღვთისადმი რწმენით.

მან განყენინა? რა გაენყობა, შენ აპატიე, იყავი მშვიდი, შერიგება სჯობს ქიშპსა და მტრობას, გულმონყალება სიბრძნეა დიდი.

კაცი ხომ საქმით გამოიცნობა, „მე ვარ, რაც ვარო“, - იტყვის მავანი, უნდა გაგაჩნდეს ღირსების გრძნობა და ნუ იქნები ამპარტავანი.

არის ცარგვალი ხან მოწმენდილი, ხან მოღრუბლული ანდა მზიანი... თქვენ უნდა იყოთ მუდამ კეთილი, უნდა გიყვარდეთ ადამიანი.

ოდისეოსი

შინ ბრუნდება ოდისეოსი, გულს უმაგრებს მეზღვაურებს, ბობოქარი ბორეასი გმირებს გზა-კვალს ვერ აურევს...

მიღწიეს უცხო კუნძულს და იხილეს საკვირველი, გრძნულ ხმებით მოჟღერებულე მშვენიერი ქალ-ფრინველნი, ო, ფერიებს ავ განზრახვას მიუხვდება გმირი დროზე:

ვაჟის ხელში ჩაგდება სურთ მოლულუნე სირინოზებს... „მე ანძაზე მიმაკარით!“ - ოდისეოსი ასე ბრძანებს,

ვერა, ველარ მოხიბლავენ სირინოზნი მაგისტანებს... ჩაუარეს სირინოზებს, ოდისეოსმა თავს უშველა...

ფერიებმა ცრემლი ღვარეს და... კლდის ლოდად იქცა ყველა (უკან დარჩათ: ჰელესპონტი, ითაკა და ოგიგია...).

...ჰე, ამურო, შე ცუდლუტო, ჩემთან ბრძოლა მოგიგია, მესმის ხმები სირინოზთა (სიყვარული გაიკვანდა...),

მე აქ ვრჩები, ამ კუნძულზე, ნუ მიმაკრავთ, ძმებო, ანძას...

აშოტ კურაპალატი

არ აპატიეს კურაპალატს ცოლის ღალატი...

მხევალს თავისას ყვარობს აშოტ კურაპალატი...

ხელმწიფე კაცმა სულ უბრალოდ ნააგო თავი...

აშოტს უგონოდ შეუყვარდა ჭურჭლის მრეცხავი...

თუ თავი აშოტს უძლეველი ვინმე ჰგონია,

ეგრე არ არის... მონაზონმან, მან, ფებრონიამ

ნაჰგვარა ქალი, მიაბარა მონასტრის კედლებს...

კურაპალატი სატრფოს ნახვას ვერასდროს შეძლებს...

აშოტს წაართვეს საყვარელი, გლოვობს აშოტი -

სამოთხის ყვავილს, მაცოცხლებელს, ტურფად აშოლტილს...

აშოტის თვალში ცრემლის გუბებს რაღა დააშრობს?

უბედურია... თქვენი ტახტი რად უნდა აშოტს?

ნუხს პიტიახში, ახალგაზრდა და გულჭალარა:

„ნეტა მას კაცსა, ვინაც უკვე ცოცხალ აღარ არს“.

სოლომონ

„ხოლო იყო მეფე სოლომონ ფრიად დედათ მოყვარე... და ამათ მიმართ მიდრკა სოლომონ სიყვარულად და იყვნეს მისა ცოლნი უფროსნი შეიდას და ხარჭანი სამას...“

ჰე, გიყურებენ შურით და ძრწოლით, ამბობენ: „ძალას - რა ფუჭად ხარჯავს...“ შეიდასი ცოლი, სამასი ხარჭა... სამასი ხარჭა, შეიდასი ცოლი...

ჟანგი შეუჭამს - ხმალსა და აბჯარს... აღარ ექნება ილაჯი ბრძოლის... დაუბუჟდება ფერდები ნოლით... წყალში ეყრება ამდენი გარჯა...

ჰეი, სოლომონ, დედათ მოყვარე... შენს მეტოქეებს ღიმი მოჰგვარე (ამდენ დედაკაცს როგორ არწყულულებ?!).

გული უსკდებათ შიშით ქალწულებს... შენ არ დაეძებ ცოლს და ამხანაგს, რა ჭირად გინდა ეს ჰარამხანა?!

ჯოჯას ენით

კაცთა ცხოვრების უღრანებში ბევრჯერ შევეტოპეთ, ბევრჯერ გავგროვებგეს, ბევრჯერ სცადეს ჩვენი შეცდენა; თუ არ გვიღიზნება... მივმართავდით მაშინ შენს ენას, ჩვენი მოძღვარი შენ იყავი, ბრძენო ეზოპევ...

ჰე, ხელმწიფენი უმიზეზოდ თუ მიზეზობენ, „მახვილსა“ ვლესავთ (ჩვენ არ ვუფრთხით რეგვენთა წყენას); აქლემს გავაძვრენთ ნემსის ყუნწში, ბატს ვაქცევთ ცხენად... ყველას ვჭირებთ, უცნობს, ნაცნობს, კარის მეზობელს...

ჩვენც შენს კვალდაკვალ (როცა გვიჭირს), ტურებს, მელიებს ჩვენს იგავებში ისე მარჯვედ მოვიშველიებთ, რომ მზად ვართ, შანთით ამოვშანთოთ უსამართლობა...

თუ უფლება მაქვს, უნდა გითხრა ბრძენკაცს მადლობა...

რას იზამ, როცა ასეთია საწუთრო ჩვენი: ხშირად გვიხდება საუბარი ეზოპეს ენით...

„იერემიას პოეზია“

მხრებჩამოყრილი, მოკუნტული, არაფრის მსგავსი, როდესაც ხვნივით ამოვივლი პატარა ფერდობს, ჩემს დანახვაზე ჭილყვავებიც ფრთხებიან, ღმერთო, არ ვიცი, ქვეყნის შხამ-სამსალა მე რატომ მასვი.

შემოხვევია ჩემს გულს დარდი, როგორც ქვას ხავსი... ცხოვრება გულზე ლოდად მანვეს და მაინც ვერ ვთმობ, ო, ხვედრი ჩემი, სახიერო, მძიმეა ერთობ... სხვას ვისლა ვთხოვო მონყალება, თუ არ შენ, სხვას ვის?

დღესაც ზეცაში განიბნევა ჩემი გოდება...

შავი მხედარი აჩრდილივით მიახლოვდება...

უფალო, მიწად, ცეცხლად, წყლად და ჰაერად დამშლის...

არ მიჩერდება მძიმე სული განრღვეულ გვამში...

მსაჯულო ჩემო, არსთა მხედო, მოგვხედე ოდეს,

მივიწყებული შენი შვილი შენს თვალწინ ჰგოდებს.

ნუთუ, ის არ გეყოფა, გულო, რაც გინვალისა,

სული კედლებს აწყდება, როგორც თეთრი ღამურა...

არ ჩანს შენი საშველი, მაგრამ რა საამურად

გალობს ეგ იადონი (არ ანუხებს გალია...).

შენ აცხოვნე, უფალო, ვინაც სული დალია -

მარტოობის ხუნდებში და იმგვარად გამურა

მისი სული საწუთრომ, რომ ნუხილს და სამდურავს

სამარეში ჩაიტანს (განა, მისი ბრალია?..).

განა, მისი ბრალია, თუკი ქარს გაატანა მშობლის ყველა იმედი, მარტო იყო და თანაც,

გულს უღრღნიდა ნაღველი, როგორც ბნელი აკლდამა.

ვერაგ ნუთისოფელში ბევრი რამე აკლდა მას...

მაგრამ მაინც იცხოვრა იოგივით (უვალოდ...).

კრავი - გზასაცდენილი, შეიფარე, უფალო...

ლია ჭაბაშვილი

გაზაფხული

გაზაფხულია, აფეთქებულ ხეთა ბილილმა სივრცე გაავსო, სურნელმა სული გააბრუა მზისფერ ფერებში.

გაზაფხულია, ყვავილებით მორთულ ქალაქში ისმის ჩიტების, გვრიტების და მტრედთა ლულუნი.

გაზაფხულია, სითბო-გამკრთალ ჰაერში მოსჩანს მინის ღვიძილი, ხეთა ღილინი.

გაზაფხულია, პერსეფონემ სკიპტრა შეახო, გააფერადა სამყარო და ძირი სიცოცხლისა.

რწმენა

როცა სამყაროს მოასკდება ზეცა ღვარებად; როცა სივრცეში გამოკრთება ღელვა იების; როცა მზის სხივი, მთვარის სხივი, ვარსკვლავის სხივი ერთად იბრწყინებს სამოთხეში ამ მინიერში; სასუფეველის გზას როცა სული ჩვენი შე- იცნევს; როცა იგემებს ბედნიერებას, თანაც ჭეშმარიტს; როცა უფალი თავის გზაზე მას ხელს მოჰკიდებს, ის დაინახავს თვით უფალს და ზეცას ღვთაებრივს.

იქნებ უნ იცი?

„სიყვარული გადაგვარჩენსო“ - გვმოდღვრავს უფალი და სად არის ეს სიყვარული გადამრჩენელი? მას ველარ ვხედავ, იქნებ თვითონ ის ჩემში დაშრა? და მერე რატომ? მე ხომ უფალს შევთხოვ შენევენას? გულწრფელი გულით, მცნებების დაცვით, ნეტავ სადაა ეს სიყვარული? სად, სად ნავიდა? ანდა ღვთის მადლის როგორ ხდება განანილება? როდის გვეძლევა, როდის ქრება, როდის ღვივდება? ვინ შეიმეცნებს? მე ვერ ვიგებ, იქნებ შენ იცი?

სიყვარული თავისი არსით

მზე ოქროსფერ სხივებს მაფრქვევს, თუმც სარამოა. ეს სხივები მარადიულ სივრციდან მოდის, მე მას შევიგრძნობ, რომ ვიღიმები. ეს სხივები ჩემს თვალეში ჩიხკეპივით აცეკვდებიან და მე ვიცი, ის ნათელი ხმაურობს სულში. შეუცნობია, მხოლოდ აღიქვამ მის სიღაღეს. რანი ვართ? რისთვის მოვედით და რისკენ ვისწრაფვით? ასე ძნელია შევიმეცნოთ სიყვარული თავისი არსით?

უფლის სხივი

სულის სიღრმეში კიაფობდა იმედის სხივი. ეს სხივი იყო ნება უფლის ადამის ძეში. ეგზომ დაღლილი ამ ცხოვრებით, ბრძოლით და ტანჯვით, სია-

მეს მხოლოდ უფლის გვერდით ხილვით ვპოვებდი. სხივი იმედის მარადიულ სასუფეველიდან იყო ცხოვრება, იყო რწმენა, იყო იმედი. ხელი ჩავჭიდე, მივყვებოდი სიამით სავსე, ის აღმიდგენდა ყველა ძალას ბრძოლისგან დაცილის და აღმავსებდა უფლისმიერ ძალების რწმენით.

წვიმა და სიყვარული

წვიმამ მონამა სივრცე, სიმშვიდე ჩადგა სულშიც, თან მონატრება მოჰყვა ურჩი, დიადი, მწველი. ამ მონატრებას მოჰყვა - სულ მოცუბდა, ნეტა საიდან მოდის - დიდი და უძლეველი გრძნობა.

მომენატრები, ჩნდები ჩემს თვალში, გულში, სულში, თითქოს ანგელოზს ფრთებით ჩემთვის მოუძღვნავს ძღვენი.

სივრცე სავსეა წვიმით. თითოეულ წვეთში შენ ხარ, წვიმა მასველებს სულ მთლად, შენი სიყვარულით მჟღერთავს.

საკმარისია გინამო

გადაიქროლებს ეს დღეებიც ტანჯვა-ვაების, ჩამოჰკრავს ისევ დედო-ზარი, იხსნება ზეცა. ააკამკამებს მზის სხივები სივრცეს დაუღლეულს და სული ჩემი დაფერფლილი, ფენიქსდარდგება. გაუძლებ ტანჯვას და ვაებას, თამაშს საძაგელს... ღრმა იარები, გულში ჭდეთ და ხნულებად რჩება, ველარაფერი მოარჩენენ, დროის ამქარი.. გადალალავს და ღმერთის ნება ხელახლა ჩნდება.

ო, მონატრება ზღვარგადასული, დრო — გადასული, იშლება ჩემში არწივივით, როცა შენ გხედავ, როცა საუფლო ღვთისა ოდნავ, გაკრთება წამში, ჩემს გულში სხივად იჭრები და მაშინ, მთლად გხედავ.

გამოიდარებს ეს დღეებიც, გადიყრის ქარი... ღრუბლებს სევდიანს... გულში ცრემლი ვერ დამიშრია, ვიოკებ თვალთან, ტკივილები მანვება ყელში და თვალეებიდან სევდა ჟონავს, როგორც იარა.

მზე და ღრუბელი... ქარტეხილი... დრო-მონაცვლეა, ღმერთი კი ყველგან მეუფებს ნებით, ირხევა სივრცე... საკმარისია გინამო და ნათდება ყველა... შარავანდედი მოსავს, ირგვლივ... ყველას, ყველაფერს.

მე!

იცი, როგორ მენატრები, მენ? ჩემი ნატვრა აპოგეას აღწევს, ის ღებულობს ციურ ფორმას, მერე ნაწილდება მთელ სივრცეში, მენ!

იცი, როგორ მენატრები, მენ? გულისცემა მესმის, შენ ხარ მენ, შენს სულისტქმად აღვიქვავ და ვხედავ, ის ქცეულა, სულ მთლიანად შენ.

იცი, როგორ მენატრები, მენ? მარადიული სივრცე, რასაც ჰქვია ის, რაც ყველა ჩვენთაგანში გადის, ის გრძნობს, იმას ენატრები, მენ!



გურამ გოგიაშვილი – 85

85 წლისა შესრულდა გამორჩენილი ქართველი მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე გურამ სოლომონის ძე გოგიაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო ძვირფასო ბატონო გურამ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენ მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ღვანლმოსილ, მხცოვან შემოქმედს, რომლის მრავალფეროვანი და მრავალნაზნაგოვანი მოღვაწეობა პატივისცემისა და მონების გრძნობით განაწყობს ყველას, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ქართული მწერლობის, კულტურისა და ხელოვნების წინსვლა და განვითარება. თითქმის შვიდი ათეული წელია, რაც ამშვენებთ თანამედროვე ქართულ მწერლობას, როგორც უაღრესად ნაყოფიერი შემოქმედი, სამშობლოს ბედსა თუ უბედობაზე ღრმად დაფიქრებული ერისკაცი, რომლის სული ვერა და ვერ გატეხა თავს დამყდარმა უბედურებებმა.

სამწერლო ნათლობა შორეულ 1954 წელს მიიღეთ, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურულ აღმანახ „პირველ სხივში“ დაიბეჭდა თქვენი პირველი ორიგინალური ლექსები და სვანური ბალადები. მას შემდეგ თქვენი ნაწარმოებები – მხატვრული თარგმანები, ლექსები, მოთხრობები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები და პუბლიცისტური სტატიები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად, იდგმება თეატრების სცენაზე.

მართლაც რომ ბრწყინვალე მთარგმნელი ბრძანდებით, ქართული მთარგმნელობითი სკოლის აღიარებული მეტრი და ლიდერი, რომელმაც არაერთი დიდებული თარგმანით გაამდიდრა მშობლიური ლიტერატურა.

ანტონ ჩეხოვის „ხევში“, კონსტანტინე პაუსტოვსკის „კოლხიდა“, „ნახტომი“, სამხრეთისაკენ“, „ოქროს ვარდი“, ტომანოვების „სოკრატე“, მილორად პავიჩის „ხაზარული სიტყვის კონა“, „სხვა სხეული“ და „შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა“, პაულო კოელიოს „მეხუთე მთა“, „ალქიმიკოსი“, „მოგვის დღიური“, „ბრიდა“, „მაქთუბი“, „ნათლის მხედრის წიგნი“, ერაზმ

როტერდამელის „შესხმა სისულელისა“, ანტუან დე სენტ-ეკზიუპერის „პატარა უფლისწული“, ნიკოლა გილიენის, ალექსანდრ ბლოკის, იან რაინისის, ბორის გურგულის, გაფურ გულიამის ლექსები, ჯანი როდარის „ტელეფონით მოყოლილი ზღაპრები“, ეტი ლეცის „დაუფარცხნელი აზრები“ - აი, იმ მწერალთა და ნაწარმოებთა არასრული სია, რომელთა თარგმანებს თქვენი მადლიანი ხელი ატყვია. და მაინც, თქვენი მთარგმნელობითი რუდუნების უპირველეს შედეგად დიდი ფრანგის – ფრანსუა რაბლეს უკვდავი ქმნილება „გარგანტუა და პანტაგრუელი“ მიგვარჩია. რა დიდხანს, რა შეუპოვრად თარგმნიდით მსოფლიო ლიტერატურის ამ შედევრს, რომელმაც ქართველი მკითხველის ცნობიერებაში სამუდამოდ დაიდო ბინა და ამდენად ქართული მწერლობის საგანძურის განუყოფელ ნაწილად იქცა.

შოთა რუსთაველის თეატრში წარმატებით იდგმებოდა ოსტროვსკის, შუქშინის, რაბინსკის, რუსტამბეკოვის თქვენს მიერ თარგმნილი პიესები.

თქვენი თარგმანების წარმატებას ქართულის ბრწყინვალედ ფლობა განაპირობებს. ამ ფენომენის ყველა ნიუანსს უზადლოდ ფლობთ და ამ მხრივ ივანე მაჩაბლის ღირსეულ მემკვიდრედ გვევლინებით.

მკითხველი თავის დროზე ინტერესით შეხვდა თქვენს მოთხრობებსა და ლექსებს. მნიშვნელოვანი წერილები მიუძღვნით მიხეილ ჯავახიშვილის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ირაკლი აბაშიძის, ანა ანტონოვსკაიას შემოქმედებას, ხოლო პუბლიცისტური წერილები მუდამ საქვეყნო პრობლემების ტკივილიანი განცდითაა დამუხტული.

ათწლეულებია, რაც ქართული ჟურნალისტიკის ფლაგმანის – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სახეს წარმოადგენთ და ამ საყოველთაო ქაოსისა და ნიველირების ხანაში ყველას ჭეშმარიტი პროფესიონალიზმისა და კეთილსინდისიერების უებრო მაგალითს აძლევთ.

თქვენი ღვანლი სათანადოდ დაფასდა. დაჯილდოებული ხართ ვახტანგ გორგასლის სახელობის მესამე ხარისხისა და ღირსების ორდენებით, მონიჭებული გაქვთ ილია ჭავჭავაძის, ივანე მაჩაბლის, ვაჟა-ფშაველას, ნიკო ნიკოლაძის სახელობის და „საგურამოს“ პრემიები.

ყველასთვის ცნობილია თქვენი პრინციპულობა და შეუვალობა. რა შეუპოვრად ებრძოდით საქართველოში დამდგარ ათწლიან დიდ ღამეს; როგორ ვერ შეძლეს საქართველოს მოძულეებმა თქვენი მოსყიდვა და გადაბირება.

ჩვენო გურამ!

კიდევ ერთხელ გულმხურვალ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ღვანლმოსილ, მხცოვან შემოქმედს, დღეგრძელობასა და მზეგრძელობას გისურვებთ და კიდევ თქვენი საესავი სამშობლოს გაბრწყინებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი



თემურ ჭახნაკია

გუნების განაჩენი

ნომბრის ნათელი და სუსხიანი ღამე იდგა. ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროს შემალღებულ, ხრეშიან გზას, რომელიც გაბიონის ფუნქციასაც ასრულებდა, ორი თავზე ყაბალახმოხვეული ცხენოსანი თოხარკით მიუყვებოდა. ყელმოღერებული ცხენები მწყობრად მიდიოდნენ ფლოქვების თქარათქურით. უშიპო ნალები ქვებზე ცემისას ზოგჯერ ნაპერწკლებს ჰყრიდა. მათი შავი ჩრდილები გზის ნაპირთან მდებარე ეკალ-ბარდებსა და თხმელის უსიერ ტყეზე ტალღებით გადადიოდა. მდინარე ცხენისწყალი მდორედ მიედინებოდა ქვიშის კალაპოტში ჩანოლილი, მდინარის სარკესავით ლაპლაპა ზედაპირზე ვარსკვლავებით დახუნძლული მთვარიანი (ცა ირეკლებოდა. კუპრით შავ ულავზე მხრებგანიერი, ჟღალ ნვეროსანი, ორმოცდაათ წლამდე ასაკის მამაკაცი იჯდა, რომელსაც ტყავის ჩექმებიანი ფეხები რკინის უზანგებში გაეყარა და ცხენისწყლის მიდამოებს ჭროლა თვალებით, ბუნაგიდან სანადიროდ გამოსული მგელივით ათვალისებრი იყო. შუბლზე დახრილი ნაჭრილობები ჰქონდა, რომელიც მარჯვენა წარბს კვეთდა და ზედა ქუთუთოსთან წყდებოდა. გრძელი ყბა-ნიკაპი კომოდის გამოღებულ უჯრას უგავდა. მეორე, ნაცრისფერ ცხენზე გაცრეცილი ჯუბით, ბავშვური იერის მქონე ბიჭი ამხედრებულიყო, თვალებზე დაძაბულობა ეტყობოდა.

მხედრები გზიდან საპირუტყვე ვინრო ბილიკით მდინარეზე ჩავიდნენ. ჟღალნვეროსანი ცხენიდან სხარტად ჩამოქვეითდა, თხმელის ხეს ბოტოტა ხელებით ორი ტოტი მოამსხვრია და მდინარის ორივე მხარეს, ნაპირებთან ახლოს შლამში ჩაფლო საფონე ნიშად. ღამის სამი საათი იყო, ცა იმღვრეოდა, ცივი ქარის სისინის ხმა მატულობდა.

ჟღალნვეროსანმა სიჩუმე დაარღვია: — ბლინკა, რა დაუბარე მამაშენს? — მეგრული კილოთი ჰკითხა.

— არაფერი, გახეთქილი მთვრალი მოვიდა ქელეხიდან, დასაძინებლად დანვა მაშინათვე უპასუხა ახალგაზრდამ.

ჟღალნვეროსანს გაეღიმა, რა დროსაც უსწორმასწორო, ყვითელი კბილები გამოუჩნდა, რომელიც ძველი პიანინოს ჩაცვინილ კლავისებს მოგაგონებდათ.

ცხენისწყლის ხეობიდან დაბრეცილ მინდორზე გავიდნენ. ძალღების ყეფის ხმა ნელ-ნელა ახლოვდებოდა.

— ბლინკა აქედან სოფელი იწყება და ყურადღებით იყავი, ხომ იცი?!, ტყისკენ ხელი გაიშვირა ჟღალნვეროსანმა: - აი, ამ ტყიდან სოფლის საყანე ფართობში შევალთ და სახლების უკან მოვექცევით. ბიჭმა თავი დაუკანტურა რამდენჯერმე, გაგების ნიშნად.

— ხომ იცი ზუსტად, სადაც უნდა მივიდეთ, გულუბრყვილოდ იკითხა ბიჭმა.

— კი, როგორ არ ვიცი, როგორც ამისნა ტარიელმა, ზუსტად ისე მივდივარ, მეზობელია მაგათი, ნამყოფი ვარ მაგასთან, ამ სოფელში ცხოვრობს იგიც, ადრე იპარავდა ძროხებს და ცხენებს, დაბერდა ახლა და არ შეუძლია.

ტყიდან ტურების გამაყრუებელი კივილის ხმა ეშმაკის წყევლასავით მოისმოდა. ორმა ცხენოსანმა საურმე ფშანი გადაიარა. თხმელის უღრან ტყეში ვინრო, აჭონჭოხებული ბილიკს შეუყვან და მავთულხლართების ძველ ლოხეს მიადგნენ. ცხენებიდან ჩამოხტნენ. ჟღალნვეროსანმა მავთულები ბრტყელტუჩათი გაჭრა და ცხენი ყანაში შეიყვანა, ახალგაზრდაც უკან მიჰყვა. მთვარეს დროდადრო შავი ღრუბლები ჩრდილავდნენ. ძალღების ყეფის ხმა ძალიან ახლოდან ისმოდა. ახალგაზრდა შიშს მოეცვა. ეს მის მიხრა-მოხრასა და სახის ნაკვთებზე, ასევე მზერაზეც ნათლად ისახებოდა. აშკარად ეტყობოდა ამ საქმეში გამოუცდლობა და გაუნაფაობა. ცხენოსნები ერთ-ერთი ოდა სახლის ეზოს მიადგნენ უკანა მხრიდან. ხის მესერთან შავი გაანჩხლებული ნაგაზი მოვარდა და გადმოხტომას ლამობდა უცხოთა დასაჭმელად.

ჟღალნვეროსანმა ქურთუკის გულისჯიბიდან პურის ორი ბურთულა ამოიღო და ძალღს გადაუყარა ეზოში. ძალღმა ყეფა შეწყვიტა და მაშინვე გადასანსლა მტრის მიერ ნაბოძები მავნე ულუფა. ახალგაზრდას გული ბავშვით უცემდა, ძეგლივით გაშეშებული იდგა. ბლინკა, არ შემარცხვინო შე მამაძაღლო, თუ ნაგვასწრეს დამბარა და მისი ჯანი: -უთხრა გამამხნეველები, ჩიფჩიფა ხმით ჟღალნვეროსანმა და ხელი მკაცრად და ალერსიანად მოუთათუნა ახალგაზრდას შეჭირხლულ ლოყაზე. მერე მესერს მიღმა გადაიხედა. ძალღი ალბათ უკვე მესამე სიზმარს ხედავდა, მიწაზე გაშხლართულს მკვდარვით ეძინა.

თვინიერი, გონიერი, განვრთნილი ცხენები დაუბმელად დატოვეს ეკლის ღობესთან. პატარა ხის კარიდან ეზოში ქურდულად შეიპარნენ. ჟღალნვეროსანმა ძალღი ილიაში ამოიჩარა. თხილნარი ფეხაკრეფით გაიარეს და საქონლის გომურთან მიიპარნენ, რომელიც სახლიდან ათიოდე ნაბიჯში იდგა. ჟღალნვეროსანმა საბმულის კარები ფრთხილად შეხსნა, რომ არავითარი ხმაური არ გამოეწვია ჟანგიან ანჯამებს, თუმცა კარმა მაინც გაიჭრილა, რაზეც სახე უშნოდ დაემანჭა. ორიოდე წუთში საბმულიდან ორი მსუქანი ძროხა გარეთ გამოიყვანა. სახლიდან ისეთი ხვრინვის ხმა გამოდიოდა, კაცი იფიქრებდა შუა ზალაში დაქოქილი ტრაქტორი დგასო. ახალგაზრდას ღიმილს ჰგვრიდა ეს ფაქტი, იმ დაძაბული ფონის მიუხედავად. იგივე გზით

უკან დაბრუნდნენ. ძროხები გადაღმა გადადნენ. ჟღალნვეროსანმა ჯიბიდან ორი, ნემსივით წვრილი, ძაფგამობული ლურსმანი ამოიღო, საქონლებს რქებს შუა მდებარე ძარღვში ჩაასო და ბანარს მიაბა ძაფით. ახალგაზრდამ თოკები უნაგირებს გამოაბა და წავიდნენ. თოკის ოდნავი დაქაჩვა საკმარისი იყო, ძროხები ქურდებს სირბილით მისდევდნენ ტკივილის გამო. გაიარეს მურყანის ტყე, გადაიარეს საურმე ფშანი და მიუახლოვდნენ მდ. ცხენისწყალს. ამასობაში ცა ჩაქურდულიყო, ღრუბლები კამეჩბივით შეყრილიყვნენ ცაზე, ელავდა, ციოდა, როგორც ჩვევია ხოლმე ზამთრისპირს. მეჩხრად ცვიოდა წვიმის წვეთები. ჟღალნვეროსანმა ცას ახედა და დაბეჯითებით თქვა: - ძლიერი თქმი წამოვა ბლინკა. იქნებ გაღმა გადავასწროთ. მართლაც კოკისპირული წვიმა დაიწყო. ცხენისწყალი აიძვრა, აბორგა და ველურივით გაანჩხლდა. ცხენებს მუცლამდე სწვდებოდა აფოფრილი წყალი, ძროხები აცურდნენ. გაღმა ნაპირას ვაივავლახით გავიდნენ და ბიჭმაც კმაყოფილებით ამოისუნთქა. ცხენოსნები სოფელ ლეხინდრავოში დამალულ ადგილას, უღრან ტყეში აშენებული ფერმებისაკენ გაუდგნენ გზას, რომელსაც პოლიციის მარალჩინოსნები მფარველობდნენ და წილში ეჯდნენ ძროხის ქურდებს.

ჟღალნვეროსანი ცხენიდან ჩამოხტა და ახალგაზრდას უთხრა: - ნისქვილში შევივლი, დამელოდე ორი წუთი ბლინკა. ნისქვილის კარის ღრიჭობიდან სინათლის მკრთალი შუქი იჭყიტებოდა, რომელსაც ნახევრად ჩამოშლილ ბუხარში დადებული, ცეცხლმოკიდებული ეკლის ჯირკვი გამოსცემდა. ხის ფიცრებისგან შეჭვილი ლოგინზე, ჭუჭყიან ძონძებში გახვეული იწვა მენისქვილე და ლაზათიანად ხვრინავდა პირდაფჩენილი. კარზე დაბრაზუნებისთანავე დამფრთხალი ზევით წამოხტა, თვალეები დაჭყიტა, მოიფშვნიტა, სახე დამანჭა, მისივე ნავთის მხრჩოლავი ლამპა აანთო და შიგნიდან გადარაზული კარები გააღო.

— ბეჩა, შენა ხარ ყარამან?

— მე ვარ ბათუ, გამარჯობა შენი!

— გაგიმარჯოს! ამ წკვარამ ამინდში სად დადიხარ, მეტი არსად დაგეცეს, - უთხრა მენისქვილემ და ჩაიხითხითა.

- თუთუნი გექნება, მომანვივინე ბუთუ, ბოდიშს გიხდი ახლა, რომ გაგაღვიძე.

მენისქვილემ პოლიეთილენის პარკი გახსნა, თუთუნი და ზომაზე დაჭრილი გაზეთის ქალაღი ამოიღო, გაახვია და ჟღალნვეროსანს მისცა, რომელმაც მუგუზლით მოუკიდა და ღრმა ნაფაზი დაარტყა, მერე ბუხართან ჩაიხარა გასათბობად. მენისქვილემ ორი მინის ჭიქა არაყით შეავსო და ჟღალნვეროსანს მიანოდა: - დალიე ყარამან ტყემლის მაგარი არაყია, ძვალრბილს გაგიტობოს.

— მოდი ჩვენს საქმიანობას გაუმარჯოს! - თქვა ჟღალნვეროსანმა და მადიანად გადაჰკრა ერთი ყლუპით.

— შეგერგოს!

— ბათუ, გზაზე ხომ არავის გამოუვლია ღამით?

— არაფერი ვიცი, ხმა არ გამიგია და...

— მადლობა ბათუ, კარგად იყავი, - დაემშვიდობა და გარეთ გამოვიდა.

— მენისქვილემ ღიმილით გააცილა, გაღიმებისას ბიისფერი, მორყეული კბილები გამოუჩნდა. კარი გადარაზა, ერთხანს დაფრანგული კარის ჭუჭრუტანიდან უყურებდა და ფიქრობდა, ნეტავ ვინ დააქცია და გააუბედურა ახლა ამ ასაძაღლებელმაო. მერე ლოგინზე მიეგდო და მალევე ხვრინვა ამოუშვა.

გარეთ ისევ კოკისპირულად წვიმდა. ღრუბლები ჩოჩქოლობდნენ, ცა შემზარავად გრუხუნებდა კუნაპეტ ღამეში. ნისქვილიდან სამასიოდე მეტრში უზარმაზარი მუხის ხე იდგა, რომლის ქვეშაც გადიოდა გზა. უეცრად გოდრი-სოდენა ცეცხლის გორგალი გამაყრუებელი ხმით მუხის ხეს დაეცა და მსხვილი ტოტი შამბივით მოამსხვრია, რომელიც მინაზე გართხმულ ჟღალნვეროსანს შუა წელზე დაეცა, რა დროსაც არაადა-მიანური ღრიალის ხმა აღმოხდა. ახალგაზრდა მაშინვე მივარდა ჟღალნვეროსანთან, მაგრამ ტოტს ძვრაც ვერ უყო. ჟღალნვეროსანი ხაფანგში შემთხვევით ჩავარდნილ ვირთხას ჰგავდა, რომელიც ვერ წარმოიდგენდა, თუ ასე უცბად დაეცემოდა სიკვდილის მორი და შუაზე გაჭყლეთდა, ჭროლა თვალებიდან სიმწრის ნაპერწკლებს გააყრევინებდა. ქშინავდა, ხროტინობდა, ხრიალებდა. ბუნების განგებამ სამაგიერო მწარედ მიუზლო, იმ დაგროვილი ცოდვების გამო, რომელსაც უკვე ოცდაათი წელია სჩადიოდა. ახლა კი თავისი საქმის გამგრძელებლად გზასაცდენილ ახალგაზრდას სწვრთნიდა. ტალახიან წყალში ამოთხვრილს, ტუჩის კუთხიდან გადმოღვრილი სქელი სისხლი, სველ და გაბურძნულ, ჟღალ ნვერში ეჟონებოდა. ელვის ყოველი ნათებისას სიცოცხლის ნიშანწყალი უფრო და უფრო ქრებოდა მის უმეტყველო თვალებში. სიბნელესა და წვიმაში გათქვეფილმა ჟღალნვეროსანმა რალაც გაუგებრად ამოილულულა ცოდვილი სული განუტყევა.

გარიჟრაჟზე მოხუცი ქალის კივილის ხმას ნახევარი სოფლისთვის მოეყარა თავი. ოდა სახლის ჭიშკართან იდგნენ და ჩოჩქოლობდნენ. თანაგრძნობის ნიშნად ყველას დაღვრემილი სახე ჰქონდა. აქვითინებული იმერელი ქალი უმონყალოდ იწყევლებოდა, - იგენის კუბო ვნახე დამდგარი ზალაში, ვინც ჩემი მარჩენალი ძროხები მეიპარა, იგენმა იარენ უკულმა, დეეცეთ მეხი ჩემი გამწარებიზან, ის არ მკმაროდა შარშან ორწლიანი ხარი რომ მომპარენ, ახლა კიდო ორი ძროხა, მიწა გახეთქილიყოს იგენის ფეხებზე, თუ სადმე არიენ. ტიროდა.

ბაგიდან აშვებული ნაგაზი ღობესთან საწყლად აწურულიყო და თითქოს გრძნობდა მის დანაშაულს, გულუბრყვილობას.

ძველების ნათქვამია - "რაც არ გერგება, არ შეგერგება". ბუნებაში არსებობს დაუნერული კანონები, რომლებიც მაშინ ამოქმედდება ხოლმე, როდესაც დანერული კანონი არ მოქმედებს. სხვისთვის წართმეული ლუკმა არავის შერგება არასდროს.

ნომბრის სუსხიანი დღე იყო, მზე ცინიკურად ელვარებდა. იმაზე ჩაფიქრებული ხალხი, შემდეგი ჩვენ არ ვიყოთო, ნელ-ნელა სახლებს უბრუნდებოდა, ზოგი ველოსიპედით, ზოგი ფეხით.



ნანული (ნანა) გუნია

ნუსხა სიზმარში ვიხილე დედა

დედის სიყვარულს არა აქვს წონა, დედის სიყვარულს არა აქვს ზღვარი, ამ საწუთროში ყველაფერს წონავს, ამ სიყვარულში არ ჩნდება ბზარი.

ეს სიყვარული უკვდავი არის, დედის სიყვარულს ვერაფერს ძალავს, უფლის წყალობით და უფლის მადლით დედის სიყვარულს ახლავს სხვა ძალა.

როგორც ვთქვი, დედის უკვდავ სიყვარულს არა აქვს წონა, განი და სიგრძე, ნუხელ სიზმარში ვიხილე დედა, ო, რაოდენი ნუგეში ვიგრძენ.

გულში ჩამიკრა, როგორც ჩვეოდა, რა ბედნიერი ვიყავი ნუხელ, რამდენი რამე მინდოდა მეთქვა, ჩემს გულისტკივილს მის სურათს ვუმხელ.

უდიდესია დედის ნუგეში, თავს დაცულად ვგრძნობ დედის უბეში, რა საოცარი ძალა აქვს დედას, ის ძლევს ყოველგვარ დარდას და სევდას.

დედასთან ნისლიც მზედ გეჩვენება, დედასთან ბინდიც ჩნდება მზიანად, ჩემს თავდადებულ, გმირ დედას ვმადლობ, ყველა სიკეთეს მან მაზიარა.

ოი, რამდენი რამ მაქვს სათქმელი... ჩემს გულის დარდებს ვერავის ვუმხელ, დედიკომ თბილად ჩამიკრა გულში რა ბედნიერი ვიყავი ნუხელ.

აი, რა არის ბედნიერება

ბედნიერება განა ჭინჭია, ბედნიერება განა ფულია, ბედნიერება ვისაც რომ გულით დააქვს მაცხოვრის სიყვარულია.

ბედნიერება განა ის არის გვქონდეს ურიცხვი, ბევრი ქონება, ბედნიერია ღვთის სადიდებლად მიმართულია ვისი გონებაც.

ანდა დიპლომი, ანდა წოდება, ან კიდევ რბილი სავარძელია, რის მაქნისია, თუ შენი სული ამაოა და ცარიელია.

ბედნიერია, ვინც ღვთისთვის სათნო არის და გული აქვს წმინდა, სუფთა, ვისთვის უცხოა ბოღმა და შური და ვისაც ესმის მოყვასის სუნთქვა.

ბედნიერია, ვისაც კი წინსვლა და წარმატება ახარებს სხვისი, გონიერს გული კეთილი უდევს, უგნურს - ქვა, ბოღმა, შური ჰკლავს თავისი.

ამ წუთისოფლის საზრუნავს განმდგარს, ღვთის გზაზე მავალს ვერვინ ერევა, აი, ვინ არის ბედნიერი და აი, რა არის ბედნიერება.

უფალს

დიდება შენდა! დიდება შენდა! კურთხეულ იყოს შენი სავანე, მშობლიურ მიწის ყოველ მტკაველზე შენი წყალობა გთხოვ, დაავანე.

ღვთისმშობლის ნილხვედრ ჩემს ნატანჯ მამულს მადლი მოჰფინე, მოუსპე მტერი, შენი წყალობით მოვსულვართ დღემდე, ეს შენითა ვართ ასე ძლიერი.

თუ ვერას გვაკლებს მტერი მზაკვარი, შენი წყალობა, შენი მადლია, უფალო, შეგთხოვ, ნუ დამანახვებ ჩემს ქართველთ თვალზე ცრემლით, დარდიანს.

უგნურის მიერ დაქუცმაცებულ სამშობლოს ჩემსას ჰყავ სიძლიერე, გამიმთლიანე, ამილორძინე და ერი უფრო გამიძლიერე.

შეგვინარჩუნე ყველა სინმინდე, ჩემი სამშობლო და ჩემი ენა, შენს წმინდა გზაზე სათნოდ გვატარე, გვიკურთხე სალი ხედვა და რწმენა.

ამ საწუთროში დროებით მცხოვრებით გთხოვ, სიკეთის ქმნა გვიქციო ზნედა, მადლი მოგვფინე ყველგან, ყოველთვის, დიდება შენდა! დიდება შენდა!

დედაღვთისმშობელს

მოკაშკაშე ვარსკვლავო, მზეო მანათობელო, ჩვენი ცოდვილ სულების მხსნელის, ქრისტეს მშობელო.

შენვენას გთხოვ, ვედრებით, შენი მეიმედება, როგორც უნინ სამშობლო კვლავ მიქციე ედემად.

აგვაშორე, გვაკმარე მწუხარება და ჭირი, გული გაგვიმთლიანე უგნურისგან დაჭრილი.

უკეთური ვინც არის ყველა მოძმედ გვიქციე, მინა-წყალი ივერთა თითქმის სხვისად გვიქციე.

გვიპირებენ წალეკვას ჩვენსას მისად რიცხავენ, ჩვენ არავის არ ვერჩით, მაგრამ მაინც გვიცხავენ.

უგუნურნი ამ სოფლის, ოი, რამდენს ბედავენ, მინას გვართმევენ, საზღვარს სადაც სურთ იქ კვეთავენ.

ღვთისმშობელო, გთხოვ, უგნურთ აუხილე ჭკვა, თვალი, რომ არ ხელჰყონ ღვთის მიერ ქმნილი მინა და წყალი.

ამიყვავე სამშობლოს ყველა კუთხე, მხარე, მიმთლიანე მამული, ერი გამიხარეო.

მნმს, ღვთის მადლით იბერთა მხარე კვლავ გაბრწყინდება, ყოვლადმედა სამებას და ღვთისმშობელს დიდება!

არასდროს არვინ განვსაჯოთ

ავი სიტყვით და ქმედებით გულს ნულარ მოვკლავთ კაცისას, ყველაფერს ხედავს დისმენს მფლობელი მიწის და ცისა.

ტყვია უცებ ჰკლავს, სიტყვა კი - ნელა ხრავს გულსა კაცისას, არ განვარისხოთ, ო, არა - მფლობელი მიწის და ცისა.

ვინც სიტყვით, საქმით ავს ჩადის არის ქრისტე-ღვთის მგმობელი, ჩვენს ლოცვას როგორ შეისმენს მაცხოვრის დედა-მშობელი.

თუ მოყვასს ენით დავკოდავთ ან გულში ვესვრით ტყვიასა, ნაცვლად იმისა ერთმანეთს არ ვაკარებდეთ ნიავსა.

ხან რას ვიტყვით და ხან რას ვიქმნთ, გვერდს ვუვლით ქრისტეს მცნებებსა, ამ ცოდვილ წუთისოფელში ველარ ვერევით ვნებებსა.

ცოდვისგან დამძიმებული ხორცი თანდათან იხრწნება, უფალთან განშორებული სულიც მადლისგან იცლება.

მაშ, რატომ გვიკვირს ჩვენს თავზე თუ განსაცდელი ეშვება, ვნებებს - უარი, რომ ეშვას აღარ დაგვგესლოს ეშვებმა.

ვეცადოთ ჩავკლათ ჩვენს სულში ვნება და შეეძლოთ ადგომა, გვახსოვდეს, მამა უფალთან ყველას მოგვინვეს წარდგომა.


არ განვიკითხოთ არავინ, არასდროს არვინ განვსაჯოთ, უფლის არს მთელი სამყარო, უფლის არს ესე სამსჯავრო.

ჩემს ნანატრ შვილიშვილას, ტყუპებს

გიორგის და ნიკოლოზს

მადლობა უფალს, მე თქვენით, გამიხალისა სიცოცხლე, არ ვიცი წუთისოფელში ბებო, სანამდე ვიცოცხლებ. სანამ ცოცხალი ვიქნები გატარებთ ხელის გულზედა, სიკეთის მარცვლებს ჩაგირგავთ ჩემს განვლილ გზას და ხნულზედა. რომ გზამ ჩემ მიერ განვლილმა ყველგან გატაროთ მადლითა, მთელი ცხოვრება გზა გქონდეთ მოფენილ ია-ვარდითა.

თქვენც სულ სიკეთე გეთესოთ ყველასთან, მთას და ბარადა, ქრისტეს მცნებებით გეცხოვროთ ჩვენი წინაპრის დარადა. მაღალმა ღმერთმა დაგლოცოთ მოჰგმადლოთ დღენი ნათელი, გამრავლდით, გაზრდილიყავით სასიქადული ქართველი!



რომან ზუკაკიშვილი – 60

60 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი რომან დიმიტრის ძე ზუკაკიშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ჩვენო რომანი!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედს, მოქალაქეს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 60 წლისთავს.

პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე 1976 წელს გადადგით, როდესაც გაზეთ „ივრის განთიადში“ დაბეჭდეთ ლექსი „მამულს“. ეს ლექსი ბედისწერად გექცათ სამშობლოს ერთგულ ჯარისკაცს, სანატრიონად — თავისუფალი, ქრისტიანული მორალით და ტრადიციებით განმტკიცებული, ეროვნული სულიერებით გამსჭვალული ივერთა მინა. თქვენი ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდება სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი პოეტური კრებულები „სინანულის დღე“, „სკამკაცა“, „ბენვის ხიდი“, „შეხვედრები უფალთან“, „ფუძის ანგელოზი“, „მწვერვალები ნისლს მიღმა“, „სიმართლის ორდენი“, „წყაროსთან ნაამბობი სიზმრები“, „სიყვარულის გზა“ და სხვები ქართველი მკითხველის და სალიტერატურო კრიტიკის მოწონებით სარგებლობს.

თქვენს ლექსებზე, რომლებიც თარგმნილია გერმანულ და რუსულ ენებზე, არაერთი მშვენიერი სიმღერა შეიქმნა.

უყურადღებოდ არც მოზარდი თაობა დატოვებდა და მრავალი საყვარელი ლექსით გაახარეთ.

სხვადასხვა დროს მუშაობდით პატარძელის საშუალო სკოლის დირექტორად, ამავე სოფლის გამგებლად, საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილების მეთოდისტად. კარგა ხანია, რაც საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირის საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ხართ და ერთგულად, მუხლჩაუხრელად ემსახურებით საყვარელ საქმეს...

თქვენი მრავალწლიანი გარჯა სათანადოდ დაფასდა. მონიჭებული გაქვთ გიორგი ლეონიძისა და ანა კალანდაძის სახელობის პრემიები, საპატიო გარეჯელის ნოდება. დაჯილდოებული ხართ ღირსების მედლით. არჩეული ხართ ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის აკადემიკოსად.

ბატონო რომანი!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს საყვარელ კოლეგას, გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით წინსვლას.

საქართველოს მწერალთა კავშირი



თამარ ლომიძე — 50

50 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და ფერმწერი თამარ ოთარის ასული ლომიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო თამარ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან მშვენიერი პოეტს, მშვენიერ ბანოვანს და გილოცავენ დაბადების 50 წლისთავს.

თქვენ ქართველ შემოქმედთა იმ ბედნიერ ჯგუფს განეკუთვნებით, რომელთა პოეტური ნათლობა 1988 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ჩვენი დედა-უნივერსიტეტის, ახალგაზრდა მწერალთა ლიტერატურულ ალმანახ „პირველ სხივში“ შედგა, როდესაც ალმანახის ფურცლებზე დაიბეჭდა თქვენი პირველი ლექსები.

ქართველმა მკითხველმა ცხოველი ინტერესით მიიღო თქვენი პოეტური კრებულები „მოვედი ერთი სიტყვა რომ მეთქვა“, „უამი კვირტობის“, „ზღვარი“, „მე სხვა ცას ვეძებ“. ამ კრებულებით მათ წინაშე წარსდგა თხემით ტერფამდე დახვეწილი პოეტი ქალბატონი, დიდ ქართველ ბანოვანთა ღირსეული შთამომავალი, რომელსაც სრულად აქვს გასიგრძელებული მწერლის როლი და დანიშნულება მისი სამშობლოს განვითარების ამ ურთულეს ეტაპზე, როდესაც საქართველოს ბენვის ხიდზე უწევს სიარული, როგორც ასი, ორასი, ათასი წლის წინ უწევდა.

ჩინებულად ფლობთ ნორვეგიულ ენას. ამიტომაცაა, რომ არაერთი ნორვეგიული პოეტის შემოქმედება ააჟღერეთ ქართულად, ხოლო თურბიორნ ეგნერის საბავშვო მოთხრობა „კარიუსი და ბაქტუსი“ ცალკე წიგნადაც გამოეცით.

შემდგენელი და გამომცემელი ხართ ქართველ ემიგრატთა ლექსების კრებულისა „სამშობლოს სურნელი“, რომელმაც საყოველთაო მონიშნება დაიმსახურა.

სიამოვნებას გვგვრის იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ დღემდე შვიდი პერსონალური გამოფენა მოაწყვეთ და ყველამ დიდი წარმატებით ჩაიარა.

თქვენი ლექსები თარგმნილია ფრანგულ და ნორვეგიულ ენებზე. წლების განმავლობაში მუშაობდით ქართულ ჟურნალ-გაზეთებში კორესპონდენტად, ნორვეგიული ენის მასწავლებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართული ენის მასწავლებლად ეგზილურის სახელობისა და კავკასიის ფრანგულ სკოლებში. რამდენიმე წელია, რაც თბილისში ტურისტული კომპანია „კულტურული მოგზაურობა საქართველოში“ და სამხატვრო გალერეა „ნორ-გე“ დააარსეთ. ამ უკანასკნელში გახსენით ნორვეგიულ-ქართული კულტურული ურთიერთობების ცენტრი, რომელიც პოპულარიზაციას უწევს ქართულ კულტურას.

მესხეთში გამართულ სახალხო დღესასწაულ „შოთაობასთან“ დაკავშირებით მიძღვნილ ლიტერატურულ კონკურსებში არაერთხელ გაგიმარჯვიათ, 2014 წელს კი თქვენმა ლექსმა „მესხეთს“ თავად მესხეთისადმი მიძღვნილ ლექსების კონკურსში პირველი პრემია დაიმსახურა.

პირველი პრემიები დაიმსახურეთ აგრეთვე ლიტერატურულ კონკურს „ხვარამზებობაში“.

ძვირფასო თამარ!

კიდევ ერთხელ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩინებულ შემოქმედს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით გამარჯვებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ქეთევან სტეფნაძე

მე სიხარული მენადა

მე სიხარული მენადა, ამისთვის არვინ ეცადა, ძალამიხდილი ვდიოდი და არავისთვის მეცაღა.

მაგრამ გაიხსნა ზეცა და მფარველი გამომეცხადა, იმხელა რწმენა მიბოძა, ძირფესვიანად შემეცვალა.

მადლობა, ღმერთო, იმისთვის ძალა მომეცა, რომ მენამა, სიცოცხლე კვლავ შემეყვარე, გულს სევდა ჩამომეცაღა.

ჩემს ძველს

წვიმიან ქუჩაში ნელი ნაბიჯით, ჩაფიქრებული მივბორიალებ, თითქოს აქა ვარ და თითქოს არც ვარ, დროც ჩემთან ერთად მიწონიალებს.

განრისხებული ზეცა ზემოდან თურმე ცრემლების ზღვად დაიღვარა, რამდენი ცოდვა ტრიალებს ქვეყნად უსამართლობით გადაიღალა.

ჩვენს საქართველოს ჭილყავებზე შემოსევია, გულს უძიძგინან, ეშმაკს მიჰყიდეს თურმე სულელები, ერთი წუთითაც არ უფიქრიათ.

ისე გაგლიჯეს დედასამშობლო, ხმითაც არავის არ უტირია, ჩვენი ბიჭების სისხლით მორწყული, ქართული მინაც გაუყიდათ.

ჩვენ ვერასოდეს ვერ დაგვაჩოქებთ, ქართველი კაცის სული დიდია, არც ადათ-წესებს არ ვუღალატებთ, არ მოგვიწონებს ამას ილია.

ალბათ სულ მალე დადგება ის დღე, როცა ითქმება სიტყვა მართალი, ეშმაკის ხანაც დასამარდება და იზეიმებს აქ სამართალი.

ლამაზი მთვარე

ცაზე გადმოდგა უზარმაზარი თეთრი ბურთივით ლამაზი მთვარე, პირგაბადრული, გაღიმებული და გაანათა მან არემარე.

დღეს თეთრი ღამით დამასაჩუქრა, ლამაზო მთვარე, შენ გაიხარე, დღესასწაულიც მომიწყვე თითქოს, მადლობელი ვარ, რომ შემეყვარე.

მეც შემოგყურებ ქვევიდან უტყვი, გული საგულეს ამიფრიალე, თითქოს სიცოცხლის ძალა მომეცი, ცხოვრება წალმა დამიტრიალე.



როი სოხუმელის კრავულის ნარდგანა

2019 წლის 10 მაისს, სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტირძნისის საჯარო სკოლაში გაიმართა ახალგაზრდა

პოეტის, როი სოხუმელის პირველი კრავულის პრეზენტაცია. პრეზენტაციას ესწრებოდნენ ბადრი ქუთათელაძე, ნაირა მარშანია, ნატო კოკაია-ზღვისპირელი, აზა ბასლანიძე, ნანა ტერმაკოზაშვილი და სხვები.

პრეზენტაციის მონაწილე მოსწავლეები კარგად გადმოსცემდნენ პოეტის განცდებს ენგურის გაღმა შთენილი სამყაროს ნოსტალგიით გამონვეულ სევდა-მწუხარებას. პოეტს ორი მშობლისგან (სოხუმი და თბილისი) ორივე ნატვრად ქცევია, რის გამოც საკუთარ თავს მუდმივ ემიგრანტად აღიქვამს და ენატრება ქალაქი, რომელმაც შვა, ქალაქი, რომელმაც ზარდა.

ნაირა მარშანია

ელისო ქიტიაშვილი

დგახართ, ვით ბურჯი მაგარი, მაგ თქვენი უტეს რჯულისა, დგახართ უფლის ტაძარი, ნაგები ზღუდედ, გულითა.

ბოლოს არ დაიღვეიან შვილნი იბერიის კლდისანი, როგორც არ გაიყრებიან დილით სხივები მზისანი.

ვერავინ დაძღვეს სიმართლეს, მას, ვით წამს გარდუვალსაო, ვერაფრით ავლენ სიმაღლეს, არწივთა საბუდარსაო.

დგახართ გამირულად, ბიჭებო, გადარდებთ, შვილნო, ერიო, კვლავაც ჯიქურად იჭექებთ და დაგეძლიოთ მტერიო.

თამარ ტყაბლაძე

შამთხვევითი შეხვედრა

შემთხვევითი ნახვა, — მოწონება შენი... განშორება წამით, — მეგობრობა ჩვენი... კვლავ შეხვედრა ჩემი, გრძნობის მოსვლისეშვი, — მოიპარა ჩემთან და დამკვიდრდა ჩემში, დაიბუდა ჩემთან, ვერ გავნდევნი ვერა, უცებ გაქრი სადღაც, თუმც მენვევა, მჯერა... მინდა ფრენა მასთან, მოფერება უცებ და ნათდება რაღაც, გრძნობას გული უცემს... დრო იქცევა ფერფლად, უცებ ქარც მოვა, მიმოფანტავს ირგვლივ ყვავილების თოვას...

ლიტერატურული კონკურსი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს პოეზიაში. საკონკურსო მასალები მიიღება დევიზით: ერთი კონკრეტული იგზავნება საკონკურსო მასალა, მეორე კონკრეტული — ავტორის ვინაობა, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების ჩამონათვალი (კონკრეტზე არ უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციის თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოსა და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა.

დანესებულია პრემიები:

ორი პირველი პრემია — 1500-1500 ლარი — ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისა და შპს „ნიალისაგან“;

მეორე პრემია — 700 ლარი — შპს „ნიალისაგან“;

სამი მესამე პრემია — 500-500 ლარი — სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორფოლოგიის ინსტიტუტისა და შპს „ნიალისაგან“;

იმის გამო, რომ რესპუბლიკის მოსწავლე-ახალგაზრდობაში გაიზარდოს პოეზიისადმი ინტერესი, წელს, პირველად, მათთვის, დანესებულია სამი ნამახალისებელი პრემია:

პირველი პრემია — 500 ლარი;

მეორე პრემია — 400 ლარი;

მესამე პრემია — 300 ლარი.

სამივე პრემია დანესებულია შპს „ნიალისაგან“.

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა მოსწავლეს, გარდა დამამთავრებელი (მე-12) კლასისა.

გამარჯვებულების საზეიმო წარდგინება მოხდება სოფელ რუსთავში, ტრადიციულ „პოეზიის სახალხო დღესასწაულზე — შოთაობაზე“, ხოლო დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამა წლის ოქტომბერში.

საკონკურსო ლექსები უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ნაბეჭდი ფორმით, არაუმეტეს 5 ლექსისა. ხელნაწერი არ მიიღება.

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2019 წლის 1 სექტემბერი და იგზავნება შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქ.3.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია.

საკონტაქტო ტელ. 5 99 97 95 24



გუგული ტოგონიძე

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მტიკინეული დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი საბავშვო მწერალი გუგული ვალერიანის ასული ტოგონიძე.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა ქართველი ბავშვების გულთა მესაიდუმლე, ღირსეული შთამომავალი და მემკვიდრე დიდი ქართველი საბავშვო მწერლებისა, რომელიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში დიდი გატაცებითა და ერთგულებით ემსახურებოდა მოზარდთა სულიერი ფორმირების უკეთილშობილეს საქმეს, წვრთნიდა მათ სულსა და გონებას, ასწავლიდა სიკეთის, სათნოების, კეთილშობილების, ვაჟკაცობის, ქედუხრელობის ფასს.

გუგული ტოგონიძე დაიბადა 1936 წლის 1 ივლისს თბილისში. 1953 წელს თბილისის 61-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის ფსიქოლოგიის განყოფილების სტუდენტად, რომელიც 1960 წელს დაასრულა.

გუგული ტოგონიძის სამწერლო დებიუტი 1970 წელს შედგა, როდესაც აღმანახ „ლილეში“ გამოაქვეყნა პირველი საბავშვო მოთხრობები, რომლებმაც მამინევი მიიპყრო სალიტერატურო კრიტიკის ყურადღება. მას შემდეგ გუგული ტოგონიძის ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდებოდა სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე ნიგნებად.

გუგული ტოგონიძის პროზაული კრებულები „რა უხაროდა გოგონას“, „ლაშა მიდის სკოლაში“, „თეონა“, „ბრეცნი კუქნე და ფოთოლა კაბის ზღაპრები“, „ვარდ-

ისფერი ზღაპრები“, „წვიმის კაცუნები“, „ცისფერი მაიმუნის ზღაპარი“, „მოდი, ზღაპარო“, „სიბრძნე ზღაპრისა“ ქართველ ბავშვებს მართლაც რომ ზღაპრულ სამყაროში ამყოფებს და ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, სიმართლით, სილამითა და ბუნებრიობით იქცევს. ამ ზღაპრებში სიცოცხლის ხალისი და სევდა ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. ქალბატონ გუგულის, პროფესიით ფსიქოლოგს, არ უჭირდა პატარების სულის ხვეულებში წვდომა, მათი ფანტაზიის გაღვივება, მშვენიერებისა და აზროვნების აღქმის უნარის სწორ, სასურველ კალაპოტში წარმართვა. როგორ შეიძლება არ ითქვას ისიც, რომ მისეული ხატოვანება ენისა, მისეული ფერწერული ქართული სიტყვის არსში გარკვევის უნარსა და გემოვნებას უფაქიზებდა მკითხველს. მისი ფეროული პოეტური პროზის მიხედვით შექმნილი სუბექტაქტები, ინსცენირებები, მიუზიკლები წარმატებით იდგმებოდა საქართველოს ყველა კუთხეში. მისი ნაწარმოებები შესულია საშუალო სკოლების სახელმძღვანელოებში. გუგული ტოგონიძის მრავალწლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობა შიშ მღვიმელისა და მაცყალა მრევლიშვილის სახელობის პრემიებით აღინიშნა. დაჯილდოებული იყო ღირსების მედლით. გამოცემილია „ნაკადულმა“ 1996 წელს მისი „ვარდისფერი ზღაპრები“ წლის საუკეთესო ნიგნად დაასახელა. ხოლო 1997 წელს ბორჯომში გამართულ მინისპექტაკლების ფესტივალზე ზღაპარი „ვარდისფერი ქინკა“ სპეციალური პრიზით აღინიშნა.

საქართველო იყო გუგული ტოგონიძის ანი და ჰოე, მართლაც რომ ეროვნული სულისკვეთებით დამუხტული შემოქმედი იყო და, რა გასაკვირია, თუ ქვეყნის თავს დამტყდარმა უბედურებებმა და ქართველებმა მის სუსტ მხრებზეც გადაიარა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოსთვის გამართულ უთანასწორო ბრძოლებს შეეწირა ეს გულანთებული პატრიოტი თავისი ქვეყნისა, ვერა და ვერ მოიშუშა როგორც სულიერი, ისე ფიზიკური იარები.

სწორედ ასეთად დაამახსოვრდებათ მის მეგობარ ქართველ მწერლებს გუგული ტოგონიძე, მშვენიერი შემოქმედი, მოქალაქე, ღირსეული წარმომადგენელი დიდი ქართული საბავშვო მწერლობისა.

საქართველოს მწერალთა კავშირი

